



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “გლდანის კონგრესაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს
წინააღმდეგ”

(საჩივარი № 71156/01)

ბადაწყვეტილება

სტრასბურში

2007 წ. 3 მაისი

საბოლოო განცხადება:
03/08/2007

*წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ
გადასინჯვას*

საქმეში გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ყოფილი მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

*უან-პოლ კოსტა, თავმჯდომარე,
ანდრაშ ბაკა,
ლუკის ლუკაიდესი,
კორნელიუ ბირსანი,
კარელ იუნგვიერტი,
მინდია უგრეხელიძე,
ანტონელა მულარონი, მოსამართლეები,*
და *სალი დოლე, სექციის რეგისტრატორი*

განიხილა რა საქმე დახურულ სხდომაზე 2004 წ. 6 ივლისსა და 2007 წ. 3 აპრილს,
2007 წ. 3 აპრილს, გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№71156/01), რომელიც შეტანილ იქნა საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში “კონვენცია”) 34-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეების, გლდანის კონგრეგაციის 97 წევრის, ასევე ბ-ნი ვ. ქოქოსაძის, ქ-ნი ნ. ლელაშვილის, ბ-ნი ა. ხითარიშვილის და ქ-ნი ლ. ჯიქურაშვილის (შემდგომში “მომჩივნები”) მიერ 2001 წ. 29 ივნისს.

2. მომჩივნებს სასამართლოში წარმოადგენდნენ ბ-ნი ა. კარბონო, კვებეკის (კანადა) და სომხეთის ადვოკატთა კოლეგიების წევრი და ბ-ნი მ. ჭაბაშვილი, იურიდიული ფირმის “*კანონიერება და სამართალი კავკასიაში*” წევრი. საქართველოს მთავრობა (“მთავრობა”) შესაბამისად წარმოადგენდნენ ბ-ნი კ. კორკელია და ლ. ჭელიძე, ქ-ნი თ. ბურჯალიანი და ე. გურეშიძე, რომლებიც 2005 წ. 1 სექტემბერს შეცვალა მთავრობის მიერ უფლებამოსილმა პირმა ქალბატონმა ი. ბართაიამ.

3. მომჩივნები, *inter alia*, ჩივიან, რომ მათ თავს დაესხა ექსტრემისტ მართლმადიდებელ მორწმუნეთა ჯგუფი ეკლესიიდან განკვეთილი მღვდლის-ბატონი *ბასილ მკალავიშვილის* მეთაურობით, მომჩივნები სცემეს, ზოგიერთი დაჭრეს კიდევ. ისინი მიუთითებენ, რომ არანაირი ეფექტიანი გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით არ ჩატარებულა და თავდასხმის არც ერთი მონაწილე არ დასჯილა.

4. საქმე გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52§1 მუხლი). სექციაში რეგლამენტის 26§1 მუხლის შესაბამისად,

შეიქმნა პალატა, რომელსაც დაევალა საქმის განხილვა (კონვენციის 27§1 მუხლი).

5. 2004 წ. 6 ივლისის გადაწყვეტილებით, პალატამ საჩივარი ნაწილობრივ დასაშვებად გამოაცხადა.

6. 2004 წ. 1 ნოემბერს, სასამართლომ შეცვალა თავისი სექციების შემადგენლობა (რეგლამენტის 25§1 მუხლი). აღნიშნული საჩივარი დაეწერა ახლად შედგენილ მეორე სექციას (რეგლამენტის 25§1 მუხლი).

7. მომჩივნებმა და მთავრობამ წარმოადგინეს დამატებითი წერილობითი მიმოხილვები (რეგლამენტის 59§1 მუხლი).

8. მოლაპარაკებები საქმეზე მეგობრული მორიგების შესახებ (კონვენციის 38§1 ბ) მუხლი და რეგლამენტის 62-ე მუხლი) წარმოებდა 2005 წ. 20 ივლისიდან 9 ნოემბრამდე, მაგრამ უშედეგოდ. 2007 წ. იანვარში მთავრობამ არ მისცა მსვლელობა მომჩივანთა ბოლო მცდელობას მერიგების თაობაზე.

ფაქტები

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

9. მომჩივნები არიან იელოვას მოწმეთა გლდანის კონგრეგაციის (“კონგრეგაცია”) 97 წევრი, აგრეთვე ბ-ნი ვლადიმერ ქოქოსაძე, ქ-ნი ნინო ლელაშვილი, ბ-ნი ალექსი ხითარიშვილი და ქ-ნი ლეილა ჯიქურაშვილი, რომლებიც იმავე კონგრეგაციის წევრები არიან და ცხოვრობენ თბილისში. ბ-ნი ვლადიმერ ქოქოსაძე ამასთანავე არის კონგრეგაციის ოფიციალური წარმომადგენელი.

10. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის გარემოებები მდგომარეობს შემდეგში:

11. 1999 წ. 17 ოქტომბერს რელიგიური შეკრებისას, კონგრეგაციის 120 წევრს თავს დაესხა მართლმადიდებელ მორწმუნეთა ჯგუფი ბატონი ბასილ მკალავიშვილის (“მამა ბასილი”) ხელმძღვანელობით. მამა ბასილი იყო საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წევრი, მაგრამ 1995 წ. 31 ივლისს, იგი განკვეთილ იქნა ეკლესიიდან საბერძნეთის სეპარატისტ მღვდელთა ლიგაში გაწევრიანების გამო. სინოდმა მას აგრეთვე ბრალად წაუყენა მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჩადენილი არაერთი ფიზიკური აგრესიის ფაქტი, ასევე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მისამართით წარმოთქმული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები.

12. აღნიშნულ დღეს, 1999 წ. 17 ოქტომბერს, ერთ-ერთმა მომჩივანმა, ბ-ნმა მირიან არაბიძემ, დაინახა, რომ რამდენიმე ათეული ადამიანისგან შემდგარი მამა ბასილის ჯგუფი უახლოვდებოდა იმ თეატრის უკანა შესასვლელს, სადაც მიმდინარეობდა კონგრეგაციის შეკრება.

13. ქალბატონი ნუნუ ღვინიაშვილი ადასტურებს, რომ კონგრეგაციის წევრები აღნიშნულმა ფაქტმა შეაშინა, რადგან ყველას ჰქონდა ნანახი ტელევიზიით მამა ბასილისა და მის მომხრეთა მხრიდან იელოვას მოწმეებზე თავდასხმის სცენები.

14. თავდამსხმელები, რომელთაგან ზოგიერთი ანაფორაში იყო ჩაცმული, დიდი რკინის ჯვრებითა და ჯოხებით ხელში მიიწვედნენ წინ. ერთ-ერთი მათგანი (მომხივანთა სიტყვებით, ქნი ღია ახალკაცი) კამერაზე აფიქსირებდა ამ მსვლელობას. როდესაც ისინი მიუახლოვდნენ დარბაზის უკანა კარს, იელოვას რამდენიმე მოწმემ, მათ შორის, ბ-მა მირიან არაბიძემ, სცადეს არ მიეცათ თავდამსხმელთათვის კარის გაღების საშუალება, სანამ შეკრების დანარჩენი მონაწილეები არ დატოვებდნენ დარბაზს მთავარი გასასვლელით. თუმცა, მამა ბასილის ზოგიერთი მომხრე შენობის მთავარ შესასვლელთანაც მივიდა. ამრიგად, იელოვას მოწმეები აღმოჩნდნენ მომწვედულები თავდამსხმელთა ორ ჯგუფს შორის. მხოლოდ რამდენიმე მათგანმა მოახერხა თავის შეფარება სარდაფში, საიდანაც მათ მობილური ტელეფონებით გამოიძახეს პოლიცია.

15. დარბაზში დარჩენილი იელოვას დაახლოებით სამოცი მოწმე სცემეს ჯვრებით, ჯოხებითა და ქამრებით.

16. ბ-ნი მირიან არაბიძე ასევე იქნა ნაცემი. როდესაც ის მიწაზე დაეცა, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა (მომხივანთა სიტყვებით, ბ-ნმა მიხეილ ნიკოლოზიშვილმა) უთხრა მას, რომ “ის მალე მოკვდებოდა იელოვასათვის!” თავდასხმის ვიდურონაწერიდან (იხ. ქვემოთ §35) ჩანს, რომ მომხივანმა, რომელსაც გარს შემოეხვია ჯოხებით შეიარაღებული რამდენიმე ადამიანი, მაშინვე ხელები წაიფარა თავზე, მაგრამ დარტყმებისგან ის მიწაზე დაეცა. ამის შემდეგ, თავდამსხმელებმა მას ფეხები დაუშინეს თავსა და ზურგში.

17. ერთ-ერთმა მომხივანმა, ქ-ნმა როზა ქინქლაძემ, მიიღო დარტყმები სახეში, თავსა და ზურგის არეში. ქ-ნ ნათელა კობაიძეს, დაარტყეს სახეში, რის გამოც ტუჩებიდან სისხლი წასკდა. მას ეღრძო აგრეთვე ცერა თითი. ერთ-ერთ მომხივანს, ქ-ნ ნინო ჯანაშვილს სცემეს და კიბიდან გადააგდეს. როცა ის ძირს დაეცა, დაინახა, რომ ქ-ნი ნინო გნოლიძე, ნინო ლელაშვილი და ნორა ლელაშვილი გულწასულები ეყარნენ მიწაზე. ერთ-ერთ მომხივანს, ქ-ნ ღია ბახუტაშვილს თავს დაესხა სამი ქალი და ერთი ახალგაზრდა მღვდელი. მათ სცემეს იგი ფეხებით, შემოახიეს ტანსაცმელი და ითრიეს თმით. იმავე მღვდელმა ჯვრითა და ჯოხით სცემა ქალბატონ ნორა ლელაშვილს, რომელსაც გული წაუვიდა. მისი ქალიშვილი, ერთერთი, მომხივანი, ნინო ლელაშვილი, ათრიეს მიწაზე, სახეში დაუშინეს ფეხები და ურტყეს ქამარი, სანამ მან გონება არ დაკარგა. ბ-ნ მერაბ ჟიჟილაშვილს, ერთ-ერთ მომხივანს, სცემეს ჯოხითა და მუშტებით. როცა იგი ძირს დაეცა, მას ურტყეს ფეხები და შემოახიეს ტანსაცმელი. ერთ-ერთი მომხივანი, ქ-ნი ია ჭამაური ქამრით სცემეს თავის არეში. ბ-ნი ვლადიმერ ქოქოსაძე ასევე უწყალოდ იქნა ნაცემი ექვსი კაცის მიერ. მიუხედავად ამისა, მან შეძლო მოლაპარაკებოდა მამა ბასილს და მის მარჯვენახელ, ბ-ნ პ. ივანიძეს და მიეღო უფლება, რომ თეატრის დირექტორის კაბინეტში ჩაკეტილ 30 ქალსა და ბავშვს დაეტოვებინათ შენობა. მათ მისცეს გასვლის საშუალება, მაგრამ უკან გაჰყვნენ და თავს დაესხნენ ქუჩაში.

18. ერთ-ერთ მომხივანს, ბატონ ალექსი ხითარიშვილს, სცემეს და მიწაზე დაცემული ფეხებით გადათელეს. ჩანაწერიდან ჩანს, რომ რამდენიმე თავდამსხმელი არ აძლევდა მას დაცემის საშუალებას, ისინი პარსავდნენ მას თავს სიტყვებით: ”სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა!”. ვინაიდან ბოლომდე გადაპარსვა ვერ მოახერხეს, გაღიზიანებულმა თავდამსხმელებმა განაგრძეს მისი შეურაცხყოფა და ცემა. გაიგონა რა შორიდან

ბ-ნმა ხითარიშვილმა თავისი დედის ხმა, რომელსაც ქალების ჯგუფი დასხმოდა თავს, გონება დაკარგა.

19. დასისხლიანებულმა კაცებმა, ქალებმა და ბავშვებმა სირბილით დატოვეს შენობა. 16 მსხვერპლი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში.

20. ქ-ნ ფატმან თაბაგარს თავში მიღებული დარტყმების შედეგად სამუდამოდ დაუზიანდა თვალის ბადურა. 1999 წ. 17-დან 21 ოქტომბრამდე იგი იმყოფებოდა საავადმყოფოში. ჰოსპიტალიზაციის მომენტში მას სისხლი სდიოდა თვალიდან. სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა 1999 წ. 29 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე. დასკვნაში ნათქვამია, რომ პაციენტს აღენიშნებოდა ქალა-ტვინის ტრავმა, ჰემატომები და ჭრილობები, აგრეთვე დაზიანება მარჯვენა თვალში.

21. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილია ამონაწერები ზოგიერთი მომჩივანის სამედიცინო ანკეტებიდან, სადაც მოყვანილია სამედიცინო შემოწმების შედეგები პაციენტთა ჰოსპიტალიზაციის პერიოდში. ეს დასკვნები შემდეგი შინაარსისაა: - ბატონი ილია მანწკავა - ტკივილები შუბლში და მარცხენა თვალში; - ბატონი ვლადიმერ ქოქოსაძე - თავის ქალის დაზიანება, კანქვეშა ჰემატომები შუბლზე და დაზიანებები მკერდზე; ბატონი ალექსი ხითარიშვილი - კანქვეშა ჰემატომები ზურგსა და მკერდზე; ჰოსპიტალიზაციის მომენტში სდიოდა სისხლი ზურგიდან; -ქალბატონი ნინო ლელაშვილი - თავის ქალის დაზიანება, კანქვეშა ჰემატომები კეფაზე, თავის ტკივილები და ტკივილი ზურგის არეში; - ქალბატონი ია ჭამაური - თავის ქალის დაზიანება, თავის მარცხენა ნაწილის შესიება, კანქვეშა ჰემატომები და თავის ტკივილები; - ბატონი მირიან არაბიძე - თავის ქალის დაზიანება, მარჯვენა ხელის დაზიანება, ზედა ტუჩის დაზიანება, თავის ტკივილები და სისლჩაქცევა თვალების არეში; - ქალბატონი ზაირა ჯიქურაშვილი - თავის ქალის დაზიანება, კანქვეშა ჰემატომები და თავის ტკივილები; - ბატონი მერაბ ჟიჟილაშვილი - თავის ქალის დაზიანება სახის არეში, თვალების შესიება და თავის ტკივილები; - ქალბატონი ნორა ლელაშვილი - თავის ქალის დაზიანება, კანქვეშა ჰემატომები თვალების გარშემო და სისლჩაქცევა მარჯვენა ყურის არეში.

22. მე-16-18 და 21-ე პუნქტებში დასახელებული 15 მომჩივანიდან 14 (გარდა ქალბატონი ნინო ვნოლიძისა), აგრეთვე 44 სხვა მომჩივანი (იხ. ზემოთ, პუნქტები 23, 24, 26 და 27) აღწერენ მათზე თავდასხმის ფაქტებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1999 წ. 17 ოქტომბერს.

23. ამ ჩვენებებიდან ჩანს, რომ ასევე ნაცემნი იქნენ: ბ-ნი ნოდარ ხოლოდი და თენგიზ ჯიქურაშვილი, ქალბატონები: ბელა კახიშვილი, ლია მანწკავა, ხათუნა კერძევაძე, ელენე მამუკაძე, ნანა ფილიშვილი, მაყვალა მამუკაძე, ეთერ ჭრელაშვილი, ლამარა მჭედლიშვილი, ნანა კაპანაძე, ფიქრია ცარიელაშვილი, ნანი კობაიძე და ლილი ქობესოვა.

24. რაც შეეხება სხვა მომჩივნებს, ქ-ნი იზოლდა ფურცელაძე თმით ათრიეს, ქ-ნი ია ვარდანიშვილი, მისი შვილების მსგავსად, ათრიეს თმით და სცემეს ზურგის არეში. ბ-ნ ჯუმბერ ბლარაშვილს ურტყეს თავში და გაუტყეს ცხვირი. ქ-ნ ლეილა მჭედლიშვილს ძლიერად ჩაარტყეს იდაყვი, ხოლო კიბეზე ჩავარდნის შემდეგ სცემეს თავის არეში. ქ-ნი ლეილა ცარიტოვა ათრიეს თმით. ქ-ნი რაისა მაისურაძე ასევე ათრიეს თმით, თავდამსხმელებმა გადაუგრიხეს მას ხელები ზურგს უკან და სცემეს, მისი ვაჟი კი მძიმედ დაიჭრა და კიბეზე დაავიწროეს. ქ-ნი ქეთინო ქიმერიძე ათრიეს თმით და სცემეს. ქ-ნი ამალია

აღდგომელაშვილი ათრიეს თმით, რის შედეგადაც მან გონი დაკარგა. ქ-ნი ნათია მილაშვილი სცემეს და მძიმე დარტყმები მიაყენეს თავის არეში. ქ-ნი იზა ხითარიშვილს გარს შემოეხვია შვიდი ქალი, რომელთაც თმით ითრიეს იგი და სცემეს. ბ-ნი შოთა მაისურაძე ნაცემი იქნა რამდენიმე კაცის მიერ.

25. მრავალი ჩვენებიდან დასტურდება, რომ კახა კოშაძე, ქ-ნი ლია ბახუტაშვილის (იხ. ზემოთ, პუნქტი 17) ვაჟს სასტიკად სცემეს თავისა და მუცლის არეში, რის შედეგადაც მან დაკარგა გონი. მოგვიანებით თბილისის №1 საავადმყოფოს ექიმებმა დაადგინეს, რომ კახა კოშაძეს აღენიშნებოდა თვის ქალის დაზიანება და ჩამტვრეული ჰქონდა ნეკნები.

26. მომჩივნები, ქალბატონები: ლამარა არსენიშვილი, ელენე ჯოჯუა, ქეთევან ჯანაშვილი, თინა მახარაშვილი, დოდო კახიშვილი, ლალი ხითარიშვილი, ნუნუ ღვინიაშვილი, ნელი გიორგაძე, ეკა კერძევაძე, დარეჯან კოტრანოვა, ლია სიღამონიძე, სესილ გაგნიძე, შახინა შარიპოვი, ბატონები: რომიკო ზურაბაშვილი, ამირან არაბიძე, ზაქრო ქოჩიშვილი, ჯამბულ არაბიძე და დათო გვარამია, აცხადებენ, რომ გადაურჩნენ ფიზიკურ აგრესიას. თუმცა, თავდამსხმელებმა სცემეს ქალბატონ ლია სიღამონიძისა და სესილ გაგნიძის შვილებს.

27. ქ-ნი ლეილა ჯიქურაშვილი აცხადებს, რომ პირადად მასზე არ განხორციელებულა ფიზიკური აგრესია, თუმცა, ჩივის, რომ მისი ათი წ. ქალიშვილი ათრიეს თმით, მისი თერთმეტი წ. ვაჟს სილა გააწნეს და მუშტი ჩასცხეს თავში, ხოლო შვიდი წ. ინვალიდ ვაჟს კი თავს დაესხნენ.

28. ბ-ნი ამირან არაბიძე აცხადებს, რომ თავდასხმის პირველივე წუთებში მან მოახერხა შენობის დატოვება და წავიდა პოლიციაში. ქ-ნი ეკა კერძევაძე ამტკიცებს, რომ მან თავი დააღწია თავდამსხმელებს და მეუღლესთან ერთად მივიდა გლდანის III მიკრორაიონის პოლიციაში. მან შეატყობინა პოლიციელებს, რომ ხორციელდებოდა სასტიკი აგრესია იელოვას მოწმეებზე თეატრის შენობაში. პოლიციელები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ამ განცხადების რეგისტრაციით და მიიღეს გადაწყვეტილება არ ჩარეულიყვნენ საქმეში. ქ-ნი ლია სიღამონიძე ასევე აცხადებს, რომ იგი მივიდა პოლიციის იმავე განყოფილებაში იელოვას სხვა მოწმეებთან ერთად. განყოფილების უფროსმა უპასუხა, რომ “თავდამსხმელების ადგილზე ის უარესს უზამდა იელოვას მოწმეებს!”. ბ-ნი ვლადიმერ ქოქოსაძე, რომელიც გაიქცა შემთხვევის ადგილიდან, გზაში შეხვდა სამ პოლიციელს, მოისმინეს რა მისი თხოვნა დახმარების შესახებ, პოლიციელებმა საჩივარეს, რომ “არ ჩაერეოდნენ ასეთ საქმეში”.

29. ამასთანავე, ქ-ნი ლეილა მჭედლიშვილის, დოდო კახიშვილის, მაცყალა მამუკაძის და შახინა შარიპოვას სიტყვებით, თეატრის შენობაში დარჩენილმა იელოვას მოწმეებმა მხოლოდ პოლიციის მოსვლის შემდეგ შეძლეს გამოსვლა. ქ-ნი შახინა შარიპოვას გადმოცემით, ერთ-ერთმა მსხვერპლმა მიიღობინა პოლიციელთან და აჩვენა ხელი, რომელზეც მამა ბასილმა ჯვრით მიაყენა ჭრილობა. “შეხედეთ, რა მიქნა მამა ბასილმა!” - ეუბნებოდა იგი.

30. ყველა მომჩივანი ადასტურებს, რომ როდესაც ისინი შენობას ტოვებდნენ და გარბოდნენ, გასასვლელ კართან ისინი შეეჯახნენ მამა ბასილის მომხრე ქალების კორდონს. ამ ქალებს დავალებული ჰქონდათ შეეჩერებინათ გაქცეულები და დაეხვეწინებინათ უკან, შენობის სიღრმეში, სადაც კვლავ გრძელდებოდა აგრესია. ამას გარდა, თავდამსხმელები ჩხრეკდნენ თავიანთ

მსხვერპლებს, უტრიალებდნენ მათ ჯიბეებს და ჩანთებს, ხოლო ნაპოვნი ბიბლიები, რელიგიური წიგნები და ბროშურები წაართვეს და ჩაყარეს იქვე დანთებულ კოცონში. უფრო მეტიც, იელოვას მოწმეები გააჩერეს ცეცხლთან და აიძულეს ეყურებინათ ხანძრისათვის. ჩხრეკვისას მსხვერპლების ხელჩანთები დახიეს და დაყარეს მიწაზე. ქალბატონ მაყვალა მამუკაძეს, მომჩივანს, გამოგლიჯეს ხელჩანთა, რომელშიც იყო ფული, ბინის გასაღები, ბიბლია და საათი. ეს ნივთები მისთვის არავის დაუბრუნებია. თავდამსხმელებმა ასევე წაიღეს მსხვერპლთა სხვა პირადი ნივთებიც, როგორცაა სამკაულები და ფოტოაპარატები.

31. უკლებლივ ყველა, ორმოცდათვრამეტივე, მომჩივანი (იხ. ზემოთ, პუნქტი 22) ადასტურებს, რომ ისინი დაამცირეს, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, უწოდეს ათასგვარი სალანძღავი სიტყვა, მათ შორის, “მოღალატეები” და “სამშობლოს გამყიდველები ერთი ტომარა ბრინჯის ფასად”. მომჩივანთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ თავდამსხმელებს ალკოჰოლის სუნი ასდიოდათ.

32. 23-ე, 24-ე, 26-ე და 27-ე პუნქტებში დასახელებული მომჩივნები ადასტურებენ იმ ძალადობრივ აქტებს, რომელიც განხორციელდა მე-16-18, მე-20 და 21-ე პუნქტებში დასახელებული მათი 15 ამხანაგის მიმართ, რომელთაც ყველაზე მძიმე აგრესია განიცადეს.

33. ადგილზე მისულმა პოლიციამ ბატონი მირიან არაბიძე განყოფილებაში წაიყვანა, სადაც პოლიციელებმა მას შეურაცხყოფა მიაყენეს. მამა ბასილმა და მისმა მომხრემ, მიხეილ ნიკოლოზიშვილმა, რომლებიც ასევე პოლიციაში იყვნენ, კვლავ სცადეს მასზე თავდასხმა.

34. 1999 წ. 17 ოქტომბრის თავდასხმის ვიდეოჩანაწერი გადაიკადა ეროვნული სატელევიზიო არხებით “რუსთავი-2” და “კავკასია” 1999 წ. 17, 18 და 19 ოქტომბერს. მამა ბასილისა და ბატონი პ. ივანიძის ამოცნობა ამ ჩანაწერებში სრულიად შესაძლებელი იყო. მათი სახელები მსხვერპლებმაც შეატყობინეს კომპეტენტურ ორგანოებს.

35. არს “რუსთავი-2”-ის მიერ 1999 წ. 18 ოქტომბერს გადაცემული სატელევიზიო სიუჟეტი, რომელიც წარმოდგენილია სასამართლოს წინაშე, ასახავს თავდასხმას ისე, როგორც იგი აღწერილია ზემოთ. ჩანაწერიდან არ ჩანს, რომ მომჩივნებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ფიზიკური აგრესიის აქტებს, რომელიც მათ მიმართ განხორციელდა. ჩანაწერში ნაჩვენებია, როგორ იწვის წიგნები მაშინ, როცა მამა ბასილი და მისი მომხრეები ლოცულობენ და მდერიან. ჩანაწერი შეიცავს აგრეთვე მამა ბასილის ინტერვიუს ნაწილს. ცეცხლის ფონზე მდგომი მამა ბასილი ასაბუთებს ამ აქტების საფუძვლიანობას და კმაყოფილებას გამოთქვამს მომხდარის გამო.

36. რამდენიმე შემდგომ ინტერვიუში მამა ბასილმა თავად დაადასტურა, რომ ადგილზე წასვლამდე მან გააფრთხილა პოლიცია და სახელმწიფოს უშიშროების სამსახურები, რომ ისინი არ ჩარეულიყვნენ ამ საქმეში. თანამზრახველობის ეს ფაქტი ასევე აღინიშნა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2001 წ. 13 მარტს გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაში (იხ. ქვემოთ, §76).

37. გლდანში განხორციელებული თავდასხმის შემდგომ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა საჩივარა, რომ იგი გმობს ყოველგვარ ღარბევას, რომ უნდა ჩატარდეს გამოძიება და დამნაშავენი დაისაჯონ სისხლის სამართლის წესით.

38. 1999 წ. 17-დან 29 ოქტომბრამდე 1999 წ. 17 ოქტომბრის თავდასხმის დაახლოებით 70 მსხვერპლმა, რომელთაგან 58 დასახელებულია მე-16-18 (გარდა ნინო გნოლიძისა), მე-20, 21-ე, 23-ე, 24-ე, 26-ე და 27-ე პუნქტებში, შეიტანეს საჩივარი ქალაქ თბილისის პროკურორის სახელზე. საჩივარში ისინი დაწვრილებით აღწერდნენ ძალადობის აქტებს და ითხოვდნენ დამნაშავეთა დასჯას.

39. შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანის რაიონის საგამოძიებო ორგანოს მიერ აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ გამოძიება ორჯერ შეწყდა: 2000 წ. 13 სექტემბერს და, მოგვიანებით, 3 დეკემბერს, იმ მიზეზით, რომ ვერ ხერხდებოდა თავდასხმაში მონაწილე დამნაშავეთა დადგენა. 2001 წ. მარტაპრილში, როდესაც პროცედურა კვლავ განახლდა (იხ. ქვემოთ, პუნქტი 63), გამოძიებულმა კ.-მ აგრძობინა მომხივნებს, რომ რაიმე შედეგი 2001 წ. განმავლობაში მოსალოდნელი არ იყო. საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე გაიგზავნა ხუთი მიმართვა, რომელთაგან უკანასკნელი თარიღდება 2001 წ. 8 მარტით, თუმცა, ამ საჩივრებს არავითარი მსვლელობა არ მისცემია.

40. მომხივნები ქრონოლოგიურად აღწერენ ამ პროცედურას. 1999 წ. 22, 25 და 27 ოქტომბრის დადგენილებებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანის რაიონის საგამოძიებო ორგანოს მიერ დაზარალებულად ცნობილ იქნა მხოლოდ 11 მომხივანი (სისხლის სამართლის საქმე № 0999140): ბატონი მირიან არაბიძე და ქალბატონი ნორა ლელაშვილი მიყენებული ფიზიკური და მორალური ზიანისათვის, ბატონი ილია მანწკავა მიყენებული ფიზიკური და მატერიალური ზიანისათვის, ქალბატონი მაყვალა მამუკაძე მიყენებული მატერიალური ზიანისათვის, ქალბატონი ზაირა ჯიქურაშვილი მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისათვის, ქალბატონები ნათელა კობაიძე, ფატმან თაბაგარი, ნინო ლელაშვილი, ია ჭამაური და ბატონი შოთა მაისურაძე მიყენებული ფიზიკური ზიანისათვის, და ბატონი ვლადიმერ ქოქოსაძე მიყენებული ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანისათვის.

41. 1999 წ. 9 დეკემბერს, საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდა ქალაქ თბილისის პოლიციას. 1999 წ. 25 დეკემბერს იგი გადაეგზავნა გლდანის რაიონის პროკურატურას, 2000 წ. 14 იანვარს კი გადაეცა ქალაქ თბილისის პროკურატურას.

42. 2000 წ. 26 იანვარს ქ-ნ ნათელა კობაიძის, ფატმან თაბაგარის, ნინო ლელაშვილის, ია ჭამაურის და ზაირა ჯიქურაშვილის, ასევე ბ-ნ მირიან არაბიძის, ვლადიმერ ქოქოსაძის, მერაბ უიუილაშვილის, ალექსი ხითარიშვილის, ილია მანწკავასა და ჯუმბერ ბლარაშვილის ადვოკატმა საჩივრით მიმართა თბილისის პროკურორს იმის გამო, რომ საქმე უშედეგოდ გადაეცემოდა ერთი უწყებიდან მეორეს. მან დაგმო ასევე ის ფაქტი, რომ პროკურატურა საქმისკურსში არ აყენებდა მომხივანთა ადვოკატს.

43. 2000 წ. 31 იანვარს იმავე ადვოკატმა საჩივარი შეიტანა ქალაქ თბილისის პროკურორისა და გენერალური პროკურორის სახელზე იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა დამნაშავეთა მიმართ. იგი აღნიშნავდა, რომ დამნაშავეთა დაუსჯელობა სტიმულს მისცემდა ახალი ძალადობრივი ქმედებების ჩდენას.

44. 2000 წ. 31 იანვარს ქალაქ თბილისის პროკურატურამ საქმე გადაუგზავნა თბილისის პოლიციას. პოლიციის გამოძიებელმა, ბატონმა ხ.-მ საჩივარა, რომ იგი, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, ვერ შეძლებდა ყოფილიყო მიუკერძოებელი ამ საქმეში.

45. ბატონმა ხ.-მ 2000 წ. 20 აპრილს ჩაატარა ოთხი პირის ჯვარედინი დაკითხვისა და იდენტიფიკაციის პროცედურა. მათ შორის იყო ბ-ნ მირიან არაბიძის სავარაუდო თავდამსხმელი- ბ-ნი მიხეილ ნიკოლოზიშვილი. დაკითხვაზე ეს უკანასკნელი კვლავ დაემუქრა ბატონ მირიან არაბიძეს, რომელმაც მასში, ისევე, როგორც დაკითხვაზე მყოფ მეორე პიროვნებაში, ამოიცნო თავდამსხმელები.

46. 2000 წ. 13 ივნისს ბატონმა ხ.-მ შეატყობინა ბატონ მირიან არაბიძეს, რომ 2000 წ. 9 ივნისის გადაწყვეტილებით თავად იგი, როგორც თავდასხმაში მონაწილე, მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

47. იმავე დღეს მამა ბასილის ორი მომხრე (ქალბატონები ციური მღებრიშვილი და დესპინე შოშიტაიშვილი), რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ თავდასხმის დროს რელიგიური წიგნების დაწვაში, ასევე მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

48. 2000 წ. 13 სექტემბერს გლდანის რაიონის საგამოძიებო განყოფილებამ შეწყვიტა მომჩივნების მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოება იმ მიზეზით, რომ ვერ მოხდა დამნაშავეთა დადგენა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ არ ეცნობა მომჩივნებს, რის გამოც შეუძლებელი გახდა მისი გასაჩივრება.

49. იმავე დღეს 42-ე პუნქტში მოხსენიებულმა ადვოკატმა მიმართა გენერალურ პროკურორს საჩივრით იმის გამო, რომ თავდასხმაში მონაწილე დამნაშავენი საქმის აღძვრიდან 1 წ. შემდეგ კვლავ არ იყვნენ დასჯილები.

50. 2000 წ. 24 ოქტომბერს ქალაქ თბილისის პროკურატურამ გააუქმა 2000 წ. 13 სექტემბრის გადაწყვეტილება და განახლდა სისხლისსამართლებრივი დევნა. მომჩივნებს ამის შესახებ შეტყობინება არ მიუღიათ.

51. 2000 წ. 3 დეკემბერს საქმის წარმოება კვლავ შეწყდა იმ მიზეზით, რომ ვერ მოხერხდა თავდასხმაში მონაწილე დამნაშავეთა დადგენა. მომჩივნებს ამის შესახებ შეტყობინება არ მიუღიათ. 2000 წ. 6 დეკემბერს ეს გადაწყვეტილება სანქციონირებულ იქნა გენერალური პროკურატურის მიერ.

52. ამავე დროს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შედეგად (იხ. ზემოთ, §46) ბატონ მირიან არაბიძეს ბრალად დასდეს, რომ სადავო თავდასხმის დროს მის მიერ ჩადენილმა ქმედებებმა გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. კერძოდ, იგი დაადანაშაულეს იმაში, რომ სხვა პირის წინააღმდეგ “იარაღად გამოიყენა გარკვეული საგანი”.

53. 2000 წ. 16 აგვისტოს ქალაქ თბილისის გლდანის რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაიწყო სისხლის სამართლის პროცესი ბატონი მირიან არაბიძისა და მამა ბასილის ორი მომხრის (იხ. ზემოთ, §47) წინააღმდეგ. ერთერთმა ბრალდებულმა ქალბატონმა აღიარა, რომ მან დაწვა წიგნები, როგორც ეს საკუთარმა რწმენამ და მამა ბასილმა უბრძანეს. მან საჩივარა, რომ მზად იყო მკვლელობაც ჩაედინა მართლმადიდებლური რელიგიის სახელით.

54. დღის მეორე ნახევარში მორწმუნეთა ჯგუფი მამა ბასილის წინამძღოლობით შეიჭრა სასამართლო სხდომის დარბაზში. ისინი თავს დაესხნენ დარბაზში მყოფ იელოვას მოწმეებს, ჟურნალისტებს და უცხოელ დამკვირვებლებს. თავდამსხმელთა ჯგუფს ხელთ ჰქონდა რკინის ჯვრები და იყენებდა მათ, როგორც იარაღს. ჯგუფმა კონტროლი დაამყარა დარბაზზე. სასამართლომ არ მიიღო არავითარი ზომა მორწმუნეთა წინააღმდეგ, რომელთაც ძალადობით დაიკავეს სხდომის დარბაზი.

55. ეს თავდასხმა გადაღებულ იქნა და გადაიცა სატელევიზიო არხებით “რუსთავი 2” და “კავკასია”. 2000 წ. 16 და 17 აგვისტოს ეთერში გასული სატელევიზიო სიუჟეტებიდან (რომლებიც მომჩივნებმა სასამართლოს წარუდგინეს) ჩანს, რომ პირველ დღეს თავდასხმებს ადგილი ჰქონდა სხდომათა დარბაზში. ფირზე აღბეჭდილია მამა ბასილი, რომელიც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას შედის სასამართლოს დარბაზში ათეულობით მომხრესთან ერთად. (ჟურნალისტის შეფასებით, იქ იყო 80 მომხრე). მათ ხელთ უჭირავთ დიდი თეთრი ჯვარი, ხატები და ზარი. ერთერთი თავდამსხმელი (მომჩივანთა სიტყვებით, ბატონი ზ. ლომთათიძე) რეკავს აღნიშნულ ზარს, სხვები კი თავს ესხმიან იელოვას მოწმეებს, მათ ადვოკატებსა და უცხოელ დამკვირვებლებს. ისინი მუშტებით ყრიან დარბაზიდან თავიანთ მსვერპლებს. მეორე დღეს კი დარბაზის გარეთ ფეხებით სცემენ ადამიანის უფლებათა დამცველებს ბატონებს დ.პ.-ს და გ.ბ.-ს, თავს ესხმიან ასევე ბატონი მირიან არაბიძის ადვოკატებს.

56. ამ პროცესის შედეგად 2000 წ. 28 სექტემბერს ბატონი მირიან არაბიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ 1999 წ. 17 ოქტომბერს კონგრეგაციაზე თავდასხმის დროს დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი. მას მიესაჯა პირობითი მსჯავრი – სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ბატონი ნიკოლოზიშვილისა და მამა ბასილის ჯგუფის სხვა წევრების მსუბუქად დაჭრისათვის.

57. იმავე დღეს მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, არ გამოეტანა გადაწყვეტილება მამა ბასილის ორი მომხრის წინააღმდეგ და დაებრუნებინა საქმე დამატებითი გამოძიებისათვის, კერძოდ, განადგურებული ნაშრომების კუთვნილებისა და ღირებულების, ასევე იმ ჯგუფის იურიდიული სტატუსის დასადგენად, რომელმაც მოაწყო იელოვას მოწმეების შეკრება 1999 წ. 17 ოქტომბერს.

58. 2001 წ. 14 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სასამართლო გადაწყვეტილება ბატონი მირიან არაბიძის მიმართ და საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიებისათვის.

59. 2001 წ. 11 ოქტომბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება და გაამართლა ბატონი მირიან არაბიძე. თავის გადაწყვეტილებაში მან “დადგენილად” ცნო ის ფაქტი, რომ 1999 წ. 17 ოქტომბერს მამამ ბასილის ჯგუფი გაემართა გლდანში საკუთარი ინიციატივით და რომ იქ “ადგილი ჰქონდა შეტაკებას განსხვავებული რელიგიური სარწმუნოების მიმდევართა შორის. ამ შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე ადამიანი და დაიწვა იელოვას მოწმეთა კუთვნილი რელიგიური ნაშრომები”. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ გლდანის შეკრება არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგს. მან დაადგინა, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა მიღებული არავითარი აღმკვეთი ზომა ამ შეკრების

საწინააღმდეგოდ და, შესაბამისად, მამა ბასილს არ ჰქონდა იმის საფუძველი, რომ ხელი შეეშალა ბატონი მირიან არაბიძისათვის კონვენციის მე-9 და კონსტიტუციის მე-19 მუხლებით გარანტირებული უფლებების აღსრულებაში.

60. 2001 წ. 13 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას გადაეცა პეტიციების 14 ტომი იელოვას მოწმეთა დაცვის მოთხოვნით. სახელმწიფოს მეთაურს ეცნობა მომჩივნებზე თავდასხმის, ასევე სხვა რელიგიური ძალადობის ფაქტების შესახებ. 2001 წ. 22 მარტის დეკრეტით, პრეზიდენტმა დაავალა გენერალურ პროკურორს, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს განსაკუთრებული ზომების გატარება, რათა ბოლო მოღებოდა რელიგიური ხასიათის დანაშაულებს, დადგენილიყო ასეთი დანაშაულების ჩამდენთა ვინაობა და დასჯილიყვნენ დამნაშავენი.

61. 2001 წ. 15 მარტს მამა ბასილისა და ბატონი პ. ივანიძის მიერ “წლების განმავლობაში” ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის შემდეგ, გენერალურმა პროკურატურამ გადაწყვიტა მათი გაერთიანება და გასცა ბრძანება საქმის გამოძიების შესახებ (№ 0100118). 2001 წ. 30 მარტს მამა ბასილი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მას ბრალად ედებოდა ჯგუფური დანაშაულებების ორგანიზება, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ამ ქმედებებში მონაწილეობა (სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლი §1), ასევე რელიგიური რიტუალების აღსრულების უკანონო აღკვეთა (სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი).

62. 2001 წ. 2 აპრილს, ამ საქმის გამომძიებელმა მამა ბასილისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართა პირველი ინსტანციის, ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა და გასცა უფრო მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიების, კერძოდ, სასამართლო კონტროლის დაწესების ბრძანება.

63. 2001 წ. 8 მარტის წერილზე, რომელშიც მომჩივანთა ადვოკატი კითხულობდა, თუ რა სტადიაში იყო და როგორ ვითარდებოდა საქმე, 2001 წ. 26 აპრილს მას აცნობეს, რომ სამართალწარმოება თავიდან დაიწყო. სწორედ ამ დროს შეიტყო ადვოკატმა, რომ პროცედურა შეწყვეტილი იყო 2000 წ. 3 დეკემბერს (იხ. ზემოთ, პუნქტი 51). იმავე დღეს ქალბატონ ფატმან თაბაგარს და ბატონ ვლადიმერ ქოქოსაძეს წერილობით შეატყობინეს, რომ სამართალწარმოება განახლდა.

64. 2001 წ. 8 მაისს გამომძიებელმა აცნობა მომჩივანთა ადვოკატს, რომ ის ვერ შეუდგებოდა საქმის გამოძიებას 2001 წ. დეკემბრამდე.

65. 2001 წ. 4 ოქტომბერს საქმიდან № 0100118 გამოიყო რამდენიმე ეპიზოდი მათი დამოუკიდებლად გამოძიების მიზნით სარეგისტრაციო ნომრით 1001837 (თავდასხმა სახალხო დამცველის კაბინეტში, თავდასხმა გაზეთზე “რეზონანსი” და ა.შ.). ამ დანაშაულებთან დაკავშირებით თბილისის პროკურორმა ბრალი დასდო მამა ბასილს და ბატონ პ. ივანიძეს.

66. მომჩივნები აცხადებენ, რომ გადაცემაში “60 წუთი”, რომელიც სატელევიზიო არხის “რუსთავი 2-ის” ეთერში გავიდა 2000 წ. სექტემბერში, ჟურნალისტმა, რომელიც კითხვებს უსვამდა მამა ბასილს, აღნიშნა, რომ ის რამდენჯერმე დაინახეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შენობაში შესული. მამა ბასილმა უპასუხა: *“კვბ-ში არა... მხოლოდ იელოვას მოწმეებზე თავდასხმის თაობაზე. მათ ეგონათ, რომ მე სხვა რაღაცის ჩადენას ვაპირებდი.*

მე მივედი და ვუთხარი, რომ მივდიოდი მარნეულში მოწმეების დასარბევად. ეს მხოლოდ ამ ერთხელ იყო. (...) მე მათ ყოველთვის ვაფრთხილებ და თუ გამბედაობა ეყოფათ, შემომიერთდებიან. თუ მხარს არ დამიჭერენ, იმას მიიღებენ, რასაც იმსახურებენ”.

67. 2001 წ. 11 მაისს სატელევიზიო არხით “რუსთავი 2” გადაცემულ ინტერვიუში მამა ბასილმა საჩივარა: “კატეგორიულად ვაფრთხილებ მთელი საქართველოს მოსახლეობას და, განსაკუთრებით, იელოვას მოწმეთა სექტის წარმომადგენლებს, რომ არ არის საჭირო მათი შეკრებები და სატანური თავყრილობები. თუ მე ამიკრძალავენ მათ სანახავად წასვლას, როგორც აქამდე ვაკეთებდი, რათა ხელი შემეშალა მათი შეკრებებისთვის, საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ მე აღარ გამოვჩნდები, მაგრამ ჩემი მრევლის წევრები მივლენ და დღეიდან დაიწყება საშინელი დარბევები. ჩვენ გავაკეთებთ ამას, რადგან მათ მხარს უჭერენ უცხოური ბნელი და ანტიქრისტიანული ძალები საქართველოს დასანგრევად. მაშასადამე, ჩვენ არ უნდა შევიწყნაროთ ისინი.”

68. იმ ზოგადი მდგომარეობის ასახვის მიზნით, რომელშიც ამ რელიგიურ გაერთიანებას უხდებოდა ცხოვრება, 1999 წ. 17 ოქტომბრის თავდასხმის გარდა, რომელიც საფუძვლად უდევს მოცემულ საქმეს, მომჩივნები აღწერენ მამა ბასილისა და მისი ჯგუფის მიერ განხორციელებული არაერთი აგრესიის ფაქტს. კერძოდ, საქმე ეხება: 2000 წ. 8 და 16 სექტემბრის თავდასხმებს ზუგდიდსა და მარნეულში, სადაც, მომჩივანთა სიტყვებით, პირდაპირ მონაწილეობდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლები. (Béghéoluri et 98 autres c.Géorgie, # 28490/02, წარმოებაში მყოფი საჩივარი); აგრეთვე თავდასხმას სახალხო დამცველის ოფისში 2001 წ. 22 იანვარს; თავდასხმას იელოვას მოწმეთა შეკრებაზე, რომელიც შედგა 2001 წ. 22 იანვარს კერძო პირის სახლში თბილისში ვერხანას ჩიხში; თავდასხმას იელოვას მოწმეებზე 2001 წ. 27 თებერვალს მათი შეკრებისას კერძო პირის სახლში თბილისში ელიას მთის უბანში; თავდასხმას იელოვას მოწმეებზე 2001 წ. 5 და 6 მარტს საჩხერეში კერძო მამულში; თავდასხმას 2001 წ. 30 აპრილს იელოვას მოწმეების ახალ სამყოფელზე თბილისში, ვერხანას ჩიხში; ხანძარს, რომელიც 2001 წ. 31 მარტს წაუკიდეს იელოვას ერთ-ერთი მოწმის სახლს, რის შემდეგაც საცხოვრებელიდან მხოლოდ ფერფლისა და ნარჩენების გროვა დარჩა, და ა.შ. ზოგიერთი ამ თავდასხმის თაობაზე მამა ბასილმა საჩივარა, რომ მას ვაფრთხილებული ჰყავდა პოლიცია. თოთოეულ ამ ფაქტს თან ახლდა ადგილსამყოფლის დარბევა და რელიგიური წიგნების დაწვა.

69. მომჩივნები თვლიან, რომ ძალადობის ყველა ეს ფაქტი იმ უყურადღებობის შედეგია, რაც ხელისუფლებამ გამოიჩინა 1999 წ. 17 ოქტომბერს მათი კონგრეგაციის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის მიმართ. ისინი მიიჩნევენ, რომ დატოვა რა რელიგიური აგრესიის ასეთი სახიფათო პრეცედენტი ყოველგვარი ეფექტიანი რეაგირების გარეშე კომპეტენტური ორგანოების მხრიდან, სახელმწიფომ დაუშვა სიტუაციის დამძიმება და ძალადობის ფაქტების გამეორება სრული დაუსჯელობის პირობებში. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ საბაჟოს მოხელეებმა არაერთხელ ჩამოართვეს მათ იელოვას მოწმეთათვის განკუთვნილი უცხოეთიდან შემოსული რელიგიური ლიტერატურა, ხოლო მესაკუთრეებმა მრავლგზის უთხრეს უარი დარბაზების მიქირავებაზე იმის გამო, რომ არსებობდა მათი ქონების განადგურების საფრთხე შესაძლო აგრესიის დროს.

70. სულ 1999 წ. ოქტომბრიდან 2002 წ. ნოემბრამდე იელოვას მოწმეებზე განხორციელდა 138 სასტიკი თავდასხმა, კომპეტენტურ ორგანოებში შევიდა 784 საჩივარი. არც ერთი ამ საჩივართაგან არ გამხდარა გულმოდგინე და სერიოზული განხილვის საგანი. II. საერთაშორისო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დამცველთა და საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია

71. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1257 (2001): *“11. ასამბლეა (...) უკიდურესად შეშფოთებულია(...) ძალადობის არაერთი ფაქტის გამო, რომელსაც მართლმადიდებელი ექსტრემისტები ახორციელებენ რელიგიურ უმცირესობათა, კერძოდ, იელოვას მოწმეებისა და ბაპტისტების, წინააღმდეგ. 12. ასამბლეა დაბეჯითებით სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას გამოიძიოს ადამიანის უფლებათა დარღვევისა და ხელისუფლების გადაშეტების თითოეული შემთხვევა, დასაჯოს დამნაშავეები მათი თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად და გაატაროს რადიკალური ზომები, იმისათვის, რომ მდგომარეობა ქვეყანაში შეესაბამებოდეს ევროპის საბჭოს მიერ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.”*

72. გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები დათარიღებული 2001 წ. 7 მაისით: *“The Committee expresses concern about (...) the instances of mob violence against religious minorities, in particular, Jehovah’s Witnesses, and the failure of the police to intervene and take appropriate action despite the existence of the legal tools to prevent and prosecute such acts and the risk of this apparent impunity resulting in such acts becoming widespread;:(...)”*

73. ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის საპარლამენტო თანამშრომლობის კომისიის დელეგაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა ურსულა შლაიხერმა საჩივარა 2000 წ. 5 სექტემბერს: *“On behalf of the European Parliament delegation I wish to express my consternation at the latest incident in the series of violent attacks on journalists, human rights activists and Jehovah’s Witnesses which occurred in a courtroom in Tbilisi on 16 August. I regard this kind of act as an outrageous attack against the fundamental human rights to which Georgia is committed as a signatory of the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. May I reiterate the position of the EU-Georgia Parliamentary Cooperation Committee of 9 May 2001 condemning religious intolerance and nationalist extremism which are incompatible with the long tradition of religious and cultural tolerance in Georgia.”*

74. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის (2001) თანახმად: *“(...) freedom of conscience is among the rights which are most brutally violated in Georgia. We are talking about the non-traditional religious organizations, which are dismissed as sects in Georgia and assailed and persecuted in every way. (...) I am not dismissing or diminishing the role and influence of the Orthodox Church in our country. The Orthodox Church has always been and will continue to be the fundament on which Georgian statehood and, to say it so, the very existence of the nation, rest. However, Georgia has always taken pride in her religious tolerance. It has become a typical example that the temples of different confessions stand and operate almost side by side in the capital of Georgia. Another shining example of tolerance specific for the Georgian nation – the good neighbourly relations and friendship that exist between the Georgians and the Jews have survived millennia. Against such seemingly tolerant background, it is really intolerable to put up with the current tide of extremism against religious minorities. We mean the multiple acts of*

violence to which the members of such unconventional religious groups as Jehovah's Witnesses (above all), Baptists, Krishna followers, and others fell victim(...).”.

75. ორგანიზაცია უმან ლიგებს ჭატცკპ-ის ყოველწლიური (2002) ანგარიშის მიხედვით: “Georgian authorities allowed organized groups of civilian militants to conduct a sustained campaign of violent assaults and intimidation against members of several non-Orthodox religious faiths, chiefly Jehovah's Witnesses, Pentecostals and Baptists. The assailants broke up religious services, beat congregants, ransacked or looted homes and property, and destroyed religious literature. Vasili Mkalavishvili, a defrocked Georgian Orthodox priest who led most of the attacks, justified them by claiming that charismatic faiths were defiling Georgia's nationhood and religious tradition. He boasted of receiving assistance from the police and security services. Emboldened by the inaction or complicity of prosecutors and police, and by a February Supreme Court decision to deregister the Jehovah's Witnesses as a legal entity in Georgia, the frequency of mob attacks rose in 2001...”.

76. 2001 წ. 13 მარტს არასამთავრობო ორგანიზაციებმა: the Association Law and Freedom, Atlantic Council of Georgia, Black Sea Media Institute, Caucasian House, Forensic Examination Foundation, Former Political Prisoners for Human Rights, Georgian Young Lawyers Association, Human Rights Centre, Human Rights Group of Caucasian Institute for Peace, Democracy and Development, Independent Journalists' Club, International Society for Fair Elections and Democracy, Landowners Rights Protection Association, Liberty Institute, Tbilisi Press Club და Transparency International – Georgia, ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომლის თანახმად: “During the last two years we are evidencing massive infringement of freedom of religion and persecution of religious minorities. The Government of Georgia is completely unable to protect human rights and minorities. Moreover, violations of human rights take place with the silent consent of the State, very often with its inspiration and sometimes with active participation of State officials, especially those of law enforcement agencies. On the basis of the aforesaid, it should be noted without exaggeration that religious minorities in Georgia face permanent danger, intimidation and terror. (...) Jehovah's Witnesses... have suffered attacks, persecution, bodily insult and harassment. Frequent pogroms take place in their offices and churches. Their literature, holy objects of worship and other belongings were destroyed. (...)The most significant pogroms took place in Tbilisi, Marneuli and Zugdidi. Police were aware of these actions without any reaction or were participating in them, while prosecutors and judges convicted the victims. Vasil Mkalavishvili has openly confirmed on TV that he notifies police and security in advance of carrying out his pogroms. The Deputy Minister of State Security declared at a Parliamentary hearing that the State should restrict the activities of non-traditional religious sects. Similar declarations have been made by other senior government officials –for example, the Tbilisi police chief...”.

III. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი

77. კონსტიტუცია

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენის და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განასაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

მუხლი 19 1.

ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის აღმსარებლობის ან რწმენის გამო. აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ღაზავს სხვათა უფლებებს.

78. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იმ სახით, როგორც ის მოქმედებდა მოვლენათა მიმდინარეობის პერიოდში

მუხლი 24, პუნქტები 1, 2 და 4

“1. საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე.

2. საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ პროკურორი და გამოძიებელი ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების, სახელმწიფო ორგანოთა და არასახელმწიფო ორგანიზაციათა შეტყობინებების, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობების საფუძველზე.

4. მომკვლევნი, გამოძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღძრან საჯარო ბრალდების საქმე, მიიღონ ზომები დანაშაულის გასახსნელად და დამნაშავის დასაბრუნებლად, არ დაუშვან უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.”

მუხლი 27, პუნქტი 1

“საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე [ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქად დაზიანება], 125-ე[ცემა], მუხლებით (...) გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ საქმეები აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, მაგრამ უნდა შეწყდეს ბრალდებულთან მისი შერიგების გამო.”

მუხლი 29, პუნქტი 1 დ)

“სისხლის სამართალწარმოება ჩერდება, თუ: (...) ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი დაუდგენელია – ამ პირის აღმოჩენამდე ან ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.”

მუხლი 66, პუნქტები 1 და 2 ა)

“მოკვლევის ორგანო არის სახელმწიფო დაწესებულება ან სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედება, აგრეთვე წინასწარი გამოძიების დროს ჩაატაროს საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება ან მონაწილეობა მიიღოს მის ჩატარებაში გამოძიებლის ან პროკურორის მოთხოვნით.”

მოკვლევის ორგანოები არიან: ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და ქვედანაყოფები ყველა დანაშაულის საქმეზე, გარდა მოკვლევის სხვა ორგანოთა კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეებისა; (...)

მუხლი 235, პუნქტები 1 და 2

“საჩივარი შეაქვთ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელიც კანონით უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება. (...)

საჩივარი მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან გამომძიების ორგანოს უფროსის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს შესაბამის პროკურორს. საჩივარი პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა გადაეცეს ზემდგომ პროკურორს. (...)

მუხლი 242, პუნქტი 3

“პროცესის მონაწილეს უფლება აქვს მომკვლევის ან გამომძიებლის მოქმედებისა თუ გადაწყვეტილების გამო საჩივრით მიმართოს სასამართლოს მას შემდეგ, რაც ეს საჩივარი უარყო პროკურორმა, ანდა უშუალოდ სასამართლოს (...)

მუხლი 261, პუნქტი 1

“დანაშაულის ნიშნების არსებობის ყველა შემთხვევაში მომკვლევი, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი, პროკურორი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან აღძრან სისხლის სამართლის საქმე.”

მუხლი 265, პუნქტები 1 და 4

“1. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი.

4. ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ დაუყოვნებლივ განიხილება. თუ პირი დაკავებულია, მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდება დაკავებიდან 12 საათის განმავლობაში. დანარჩენ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმის აღძვრას შეიძლება წინ უძღოდეს მიღებული ცნობების შემოწმება, რაც 20 დღეზე მეტ ხანს არ შეიძლება გაგრძელდეს.”

79. სისხლის სამართლის კოდექსი

ამ კოდექსის 155-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებულია სანქციები ისეთი დანაშაულებისთვის, როგორცაა ღვთისმსახურების ან რელიგიური წესისა თუ ჩვეულებების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ასევე რელიგიური გაერთიანების საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტით ხანდაზმულობის ვადა 120-ე [ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქად დაზიანება], 125-ე [ცემა], 155-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის განისაზღვრება ორი წლით.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

80. მომჩივნები თვლიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას”.

1. მხარეთა არგუმენტები

81. მომჩივნები მიიჩნევენ, რომ ის ქმედებები, რომელთაც ისინი დაექვემდებარნენ თავდასხმის დროს, წარმოადგენს არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. ისინი ჩივიან, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები წინასწარ ფლობდნენ ინფორმაციას ამ თავდასხმის შესახებ და რომ ადგილზე მყოფმა პოლიციელებმა არავითარი ზომები არ მიიღეს. მომჩივნები ამხელენ იმ ფაქტს, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა არ აწარმოეს ძიება და დამნაშავეების დევნა, რომელთა დადგენაც თავისუფლად იყო შესაძლებელი. სახელმწიფომ არ მოიმოქმედა არაფერი იმისათვის, რომ აღეკვეთა მათ მიმართ შემდგომი ძალადობა.

82. ამასთანავე მომჩივნები ჩივიან, რომ ისინი არ იყვნენ ინფორმირებულნი, რომ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 2000 წ. 13 სექტემბერსა და 3 დეკემბერს, რის გამოც მათ ვერ შეძლეს გაესაჩივრებინათ ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

83. მთავრობა აცხადებს, რომ სახელმწიფო მოხელეებს მონაწილეობა არ მიუღიათ საქმეში მითითებულ არც ერთ ძალადობრივ ქმედებაში. თავდაპირველ მიმოხილვებში იგი აღნიშნავს, რომ მომჩივანთა საჩივრებზე დაწყებულია გამოძიება, ხოლო 2000 წ. 28 სექტემბრის (იხ. ზემოთ, §57) სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად მიმდინარეობს გამოძიება მამა ბასილის ორი მომხრის, ქალბატონების მღებრიშვილის და შოშიტაიშვილის წინააღმდეგ.

84. კომპეტენტური ორგანოების საქმიანი მიდგომის საილუსტრაციოდ მთავრობა მიუთითებს 61-ე პუნქტში მოხმობილ ფაქტებზე. იგი ხაზს უსვამს, რომ 2000 წ. 17 აგვისტოს მამა ბასილისა და მის მომხრეთა სასამართლო დარბაზში შეჭრის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაძალადევის რაიონის საგამოძიებო ორგანოში იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

85. მთავრობა აღნიშნავს, რომ ასევე აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე 2001 წ. 22 იანვარს სახალხო დამცველის ოფისში იმავე პირების შეჭრის ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ასევე: 2001 წ. 22 იანვარს მამა ბასილისა და მისი მომხრეების მიერ თბილისში ვერხანას ჩიხში კერძო პირის სახლში იელოვას მოწმეთა შეკრებაზე განხორციელებული თავდასხმის გამო; 2001 წ. 27 თებერვალს თბილისში ნიაბის ქუჩაზე კერძო პირის სახლში იელოვას მოწმეთა შეკრებაზე განხორციელებული თავდასხმის გამო; 2001 წ. მარტში მამა ბასილის მიერ საგამომცემლო სახლიდან პოლიგრაფიული მოწყობილობებისა და რელიგიური ლიტერატურის კონფისკაციის და ადგილზე დაწვის, ასევე 2001 წ. 20 მაისსა და 22 ივნისს შესაბამისად ფონიჭალასა და მუხიანში შეკრებილ პირებზე თავდასხმების გამო.

86. ამრიგად, მთავრობის აზრით, მამა ბასილისა და მისი მარჯვენა ხელის, ბატონი პ. ივანიძის მიმართ დროულად იქნა დაწვებული სისხლისსამართლებრივი დევნა. იმის გათვალისწინებით, რომ მის მიმართ სასამართლო კონტროლის ზომის გამოყენების მიუხედავად მამა ბასილი აგრძელებდა ძალადობრივ ქმედებებს, 2003 წ. 4 ივნისს, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ გასცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ. თუმცა, მთავრობის განმარტებით, მამა ბასილი თავს არიდებდა მართლმსაჯულებას და მისი დაკავება შეუძლებელი იყო.

87. ამ არგუმენტზე მომხიენები პასუხობენ, რომ მამა ბასილი ყველას დასანახად აგრძელებდა ძალადობრივ ქმედებებს, იგი არაერთხელ გამოვიდა ტელევიზიით, მაგრამ ხელისუფლებას არ მიუღია ზომები მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

88. დამატებით მიმოხილვებში (იხ. ზემოთ, §7) მთავრობა ამტკიცებს, რომ 2003 წ. ნოემბერში “ვარდების რევოლუციის” შედეგად ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სახელმწიფომ რელიგიური ძალადობის აქტებისადმი სრული შეუწყნარებლობის პოზიცია დაიკავა. ამის დასტურად 2004 წ. 12 მარტს მათ მოაწვეეს სპეციალური ოპერაცია გლდანის მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რომლის დროსაც მათ დააკავეს მამა ბასილი, ბატონები პ. ივანიძე და მ. ნიკოლოზიშვილი, აგრეთვე მათი ოთხი აქტიური მომხრე. ეს პირები აყვანილ იქნენ წინასწარ პატიმრობაში. წინასწარი გამოძიება დასრულდა 2004 წ. 10 ივნისს და სისხლის სამართლის საქმე №1001837 (იხ. ზემოთ, §65) 2004 წ. 9 ივლისს გადაეგზავნა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს.

89. ამასთანავე, 2004 წ. 11 ივნისს მამა ბასილი მიეცა პასუხისგებაში სხვასისხლის სამართლის საქმის (№ 0203811) გამო, რომელიც აღიძრა ბაპტისტური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედებების საფუძველზე. 2004 წ. 13 აგვისტოს ეს ორი საქმე გაერთიანდა.

90. მთავრობამ წარმოადგინა მამა ბასილის, ბ-ნ პ. ივანიძის და მ. ნიკოლოზიშვილის, ასევე ოთხი სხვა თავდამსხმელის წინააღმდეგ 2005 წ. 31 იანვარს თბილისის ვაკე-საბურთალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. ეს პირები ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: სახალხო დამცველის ოფისში მოწყობილ თავდასხმაში; 2001 წ. 22 იანვარსა და 27 თებერვალს (იხ. ზემოთ, §85) განხორციელებულ თავდასხმებში; 2003 წ. 3 თებერვალს ბაპტისტური ეკლესიის საწყობზე მოწყობილ თავდასხმასა და ძარცვაში, ასევე იქ არსებული რელიგიური ლიტერატურის დაწვასა და განადგურებაში; 2003 წ. 24 იანვარს ეკუმენური ლოცვის დროს ბაპტისტებზე განხორციელებულ თავდასხმაში. მამა ბასილსა და ბატონ პ. ივანიძეს შეეფარდათ შესაბამისად ექვსი და ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დანარჩენებს პირობითი თავისუფლების აღკვეთა. მთავრობა მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება ადასტურებს ხელისუფლების პოზიციას აღარასოდეს დაუშვას ძალადობა იელოვას მოწმეებზე, რომელთაც, სხვათა შორის, რევოლუციის შემდეგ თავს აღარავინ დასხმია.

91. როგორც აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებიდან ჩანს, მამა ბასილი და ბატონი პ. ივანიძე ამტკიცებდნენ, რომ მათ არაფერი ჩაუდენიათ ისეთი, რაც დასჯის ღირსი იქნებოდა. მათი სიტყვებით, თითოეულ შემთხვევაში ისინი მოქმედებდნენ მართლმადიდებელი მრევლის თხოვნის შესაბამისად,

რომლებიც ითხოვდნენ დაცვას იელოვას მოწმეების პროზელიტიზმისგან და მათი მიუღებელი მეთოდებისაგან, რომელთა მიზანიც იყო უბნის ახალგაზრდობის ჩათრევა მათ საქმიანობაში ადრეული ასაკიდანვე.

92. რაც შეეხება საკუთრივ 1999 წ. 17 ოქტომბრის თავდასხმასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეს, მთავრობა აღიარებს, რომ 1999 წ. 18 ოქტომბერს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მოგვიანებით შეწყდა იმ მიზეზით, რომ ვერ მოხდა დამნაშავეთა დადგენა. მთავრობამ საჩივარა, რომ “პროცედურული თვალსაზრისით” შეუძლებელი იყო სისხლისსამართლებრივი დევნის ხელახალი აღძვრა აღნიშნულ საქმეში. მთავრობის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ აღკვეთა რელიგიური ძალადობის ფაქტები ქვეყანაში.

93. ამის პასუხად მომჩივნები სასამართლოს ყურადღებას მიაპყრობენ იმ ფაქტს, რომ იმ სისხლისსამართლებრივ საქმეში, რომლითაც გასამართლდნენ მამა ბასილი და ბატონი პ. ივანიძე, არ ფიგურირებს არც ერთი ის ძალადობრივი ქმედება, რომელზე რეაგირებასაც ისინი ითხოვდნენ, მაგრამ ესება ამ პირების მიერ ჩადენილ სხვა თავდასხმებს.

94. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დევნას მამა ბასილის ორი მომხრის წინააღმდეგ, რომელთაც ბრალად ედებათ წიგნების დაწვა, მომჩივნები ხაზს უსვამენ, რომ 1999 წ. 17 ოქტომბრის თავდასხმის დროს ჩადენილი იქნა არაერთი ძალადობრივი ქმედება და მიაჩნიათ, რომ გამოძიება არ უნდა შემოფარგლულიყო არც ამ ორი ადამიანით და არც მხოლოდ ამ ფაქტებით.

2. სასამართლოს შეფასება

ა) ზოგადი პრინციპები

95. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი განხილულ უნდა იქნას, როგორც დოკუმენტის უმთავრესი დებულება, რომელიც აცალიბებს ევროპის საბჭოს წევრი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. (Pretty c. Royaume-Uni, № 2346/02, § 49, CEDH 2002-III). კონვენციის სხვა დებულებებისგან განსხვავებით იგი აბსოლუტური ხასიათისაა რომელიც არ ითვალისწინებს არავითარ გამონაკლისსა და პირობას და, კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, არ უშვებს არანაირ გადახვევას. (იხ. სხვა წყაროებს შორის, Chahal c. RoyaumeUni, 1996 წ. 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებებისა და გადაწყვეტილებების კრებული 1996-V, გვ. 1855, § 79). სასამართლო აგრეთვე მიუთითებს რომ, უკანონო მოპყრობა უნდა აღწევდეს სიმძიმის მინიმალურ ზღვარს, იმისათვის რომ ის მოექცეს მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში. ამ მინიმალური ზღვრის შეფასება თავისი ბუნებით შედარებითია და დამოკიდებულია საქმეში არსებული ყველა მონაცემის ერთობლიობაზე.

96. ზოგადად, მე-3 მუხლით აკრძალული ქმედებები პასუხისმგებლობას აკისრებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩადენილია სახელმწიფო მოხელეების მიერ. თუმცა, ის მოვალეობები, რომელსაც კონვენციის 1-ლი მუხლი მე-3 მუხლთან მიმართებაში აკისრებს მაღალ

ხელშეკრულ მხარეებს, -კერძოდ, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ ყველასათვის კონვენციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, - ავალდებულებს მათ მიიღონ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ ადამიანების მიმართ არ იქნას გამოყენებული წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი ქმედებები, თუნდაც, კერძო პირების მხრიდან. (Pretty, ზემოთ მითითებული, §§ 50 და 51). რამდენიმე საქმეში სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვა (A. c. Royaume-Uni, 1998 w. 23 seqtembris gadawyvetileba, krebuli 1998-VI, gv. 2699, § 22; Z et autres c. Royaume-Uni, [GC], # 29392/95, § 73, CEDH 2001– V; M.C. c. Bulgarie, # 39272/98, § 149, CEDH 2003-XII). ამ დაცვაში იგულისხმება ეფექტური და გონივრული ზომების გატარება, მათ შორის ბავშვებისა და დაუცველი პირების მიმართ

(იხ. Okkali c. Turquie, . # 52067/99, § 70, CEDH 2006-... (ამონარიდები), იხ. ასევე ზემოთ, §§24-27), რათა, თავიდან იქნას აცილებული უკანონო მოპყრობა, რომლის შესახებაც ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა ან ვალდებული იყო სცოდნოდა (Mubilanzila Mayeka et Kaniki Mitunga c. Belgique, № 13178/03, § 53, 12 ოქტომბერი 2006).

97. ამას გარდა, კონვენციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს ოფიციალური გამოძიების ჩატარების პოზიტიურ ვალდებულებას (Assenov et autres c. Bulgarie, 1998 წ. 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, კრებული 1998-VIII, გვ. 3290, § 102). ასეთი პოზიტიური ვალდებულება პრინციპში, არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ჩადენილი უკანონო მოპყრობის ფაქტებით (M.C. c. Bulgarie, ზემოთ მითითებული, § 151).

ამრიგად, ხელისუფლება ვალდებულია მოახდინოს რეაგირება ოფიციალური საჩივრის მიღებისთანავე. მაშინაც კი თუ საჩივარი, როგორც ასეთი, არ არის დასაბუთებული, მართებულია დაიწყოს გამოძიება, თუკი არსებობს საკმარისად ზუსტი მინიშნებები იმის სავარაუდოდ, რომ ადგილი აქვს წამებისა თუ ცუდი მოპყრობის ფაქტებს. გონივრული სისწრაფისა და კომპეტენტურობის მოთხოვნა ნათლად იკითხება ამ კონტექსტში. როცა საქმე ეხება გამოძიებას უკანონო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, ხელისუფლების სწრაფი რეაქცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უმთავრესი პირობა იმისათვის, რომ საზოგადოებაში შენარჩუნდეს ნდობა კანონიერებისადმი და არ შეიქმნას უკანონო ქმედებებისადმი შემწყნარებლობის ან თანამზრახველობის შთაბეჭდილება. ამრიგად, ხელისუფლების შემწყნარებლურ პოლიტიკას ამგვარი აქტებისადმი შეუძლია მხოლოდ ძირი გამოუთხაროს საზოგადოების ნდობას კანონიერების პრინციპისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისადმი (Bati et autres c. Turquie . # 33097/96 da 57834/00, § 136, CEDH 2004-IV (ამონარიდები); Abdülsamet Yamanc. Turquie, # 32446/96, § 60, 2 noemberi 2004; mutatis mutandis, Paul et Audrey Edwards c. Royaume-Uni, # 46477/99, § 72, CEDH 2002-II).

ბ) ამ პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

i) მოპყრობასთან დაკავშირებით

98. მის ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე, სასამართლო მიუთითებს, რომ ძალადობრივი ქმედებები, რაზეც მომჩივნები მოცემულ საქმეში ჩივიან, ჩადენილ იქნა 1999 წ. 17 ოქტომბერს მართლმადიდებელი პირების მიერ, რომელთაც ხელმძღვანელობდა მამა ბასილი. აღნიშნული ფაქტი სახელმწიფოს სადავოდ არ გაუხდია.

99. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1999 წ. 17 ოქტომბრის თავდასხმა მიმართული იყო მთლიანად კონგრეგაციის წევრების მიმართ (მომჩივანთა სიტყვებით, 120 ადამიანი), რომლებიც რელიგიური მიზნით შეკრებილნი იყვნენ თეატრის შენობაში. თუმცა, თავად მომჩივნები, 101 პირი, აღნიშნავენ, რომ ნაცემი იქნა მხოლოდ კონგრეგაციის დაახლოებით 60 წევრი და 16 იქნა გადაყვანილი საავადმყოფოში (იხ. ზემოთ, §§ 15 და 19). სასამართლო მიუთითებს, რომ იმ მომჩივანთაგან, რომელნიც ფიზიკური აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ, მხოლოდ ნაწილი ფლობს სათანადო საბუთებს იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი დაექვემდებარნენ მოპყრობას, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს. (Davitian c. Géorgie , # 7324/01, § 37, 27 ივლისი, 2006; Berktaý c. Turquie . № 22493/93, § 165, 1 მარტი 2001).

100. მაგალითად, მითითებები უკანონო მოპყრობაზე ბატონ მირიან არაბიძისა და ალექსი ხითარიშვილის, აგრეთვე ქალბატონი ფატმან თაბაგრის (იხ. ზემოთ, §§ 16, 18, 20 და 21) მიმართ გამყარებულია შესაბამისი ამონაწერებით მათი სამედიცინო ისტორიებიდან და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან. ამასთანავე, ბატონ მირიან არაბიძისა და ალექსი ხითარიშვილის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებები ნათლად ჩანს თავდასხმის ვიდეოჩანაწერიდან, რომელიც სასამართლოს ხელთ აქვს (იხ. ზემოთ, §35). მითითებები ქალბატონ ნორა ლელაშვილის, ნინო ლელაშვილის, ია ჭამაურის და ზაირა ჯიქურაშვილის, აგრეთვე ბატონ ვლადიმერ ქოქოსაძის, მერაბ ჟიჟილაშვილის და ილია მანწკავას მიმართ განხორციელებულ მოპყრობაზე გამყარებულია შესაბამისი ამონაწერებით მათი სამედიცინო ისტორიებიდან (იხ. ზემოთ, §§ 17 და 21).

101. ამას გარდა, ქალბატონი ნათელა კობაიძე, როზა ქინქლაძე, ნინო ჯანაშვილი და ლია ბახუტაშვილი (იხ. ზემოთ, §§ 17 და 22), ასევე ქალბატონი იზოლდა ფურცელაძე, ია ვარდანიშვილი, ლეილა მჭედლიშვილი, ლეილა ცარიტოვი, რაისა მაისურაძე, ქეთინო ქიმერიძე, ამალია აღდგომელაშვილი, ნათია მილაშვილი და იზა ხითარიშვილი, ბატონ ჯუმბერ ბლარაშვილი და შოთა მაისურაძე (იხ. ზემოთ, § 24) ზუსტად აღწერენ იმ დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს, რომლებიც მათ განიცადეს. მათ მიერ აღწერილი ფაქტები მთავრობას სადავოდ არ გაუხდია და ამასთანავე, სასამართლოს აზრით, შეიცავს საკმარისად სერიოზულ, ზუსტ და თანმიმდევრულ სამხილებს იმ “გონივრული ეჭვის” დასასაბუთებლად, რომ ეს პირები მართლა დაექვემდებარნენ დამამცირებელ მოპყრობას. (mutatis mutandis, Anguelova c. Bulgarie № 38361/97, § 111, CEDH 2002-IV; Chamaïev c. Géorgie et Russie, №36378/02, § 338, CEDH 2005-...)

102. იმ ქმედებების ხასიათის გათვალისწინებით, რომელსაც დაექვემდებარა მე-100 და 101-ე პუნქტებში მითითებული 25 მომჩივანი, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ მოპყრობამ მიაღწია საკმარის ზღვარს იმისათვის, რომ კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც არაადამიანური კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით (იხ. ზემოთ, §§ 16-18, 20, 21 და 24).

103. იგივე ითქმის მომჩივნების, ქალბატონ ლია სილამონიძისა და სესილ გაგნიძის ბავშვების ცემის ფაქტზე (იხ. ზემოთ, §26 *in fine*), მომჩივნების, ქალბატონ ია ვარდანაშვილის და ლეილა ჯიქურაშვილის შვილების მიმართ განხორციელებულ ქმედებებზე (იხ. ზემოთ, პუნქტი 24 და 27), აგრეთვე იმ მოპყრობაზე, რომელსაც დაექვემდებარნენ ქალბატონ ლია ბახუტაშვილის (იხ. ზემოთ, § 25) და რაისა მაისურაძის (იხ. ზემოთ, §24) ვაჟები.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ პირებს ჰქონდათ კანონიერი საფუძველი იმისათვის, რომ მოეთხოვათ სახელმწიფოს მხრიდან გონივრული ზომების გატარება მათი შვილების ძალადობისაგან დაცვის მიზნით. (*Amy c. Belgique, (déc.), # 11684/85, კომისიის 1998 წ. 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება; Güneri c. Turquie (déc), # 42853/98, 2003 წ. 8 ივლისი*). შესაბამისად, მათ შეუძლიათ ჩათვალონ თავი მათი შვილების მიმართ განხორციელებული მოპყრობის ირიბ მსხვერპლებად. (cf. *Kurt c. Turquie, 1998 წ. 25 მაისის გადაწყვეტილება, კრებული 1998-III, §§ 133 და 134*).

104. რაც შეეხება 23-ე პუნქტში ჩამოთვლილ 14 მომჩივანს, სასამართლო აღნიშნავს, რომ თავიანთ ჩვენებებში ისინი ამტკიცებენ, რომ დაექვემდებარნენ ძალადობრივ ქმედებებს, მაგრამ არ აზუსტებენ ამ ქმედებების ხასიათსა და სიმძიმეს. ეს კი შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, იყო თუ არა მათ მიმართ განხორციელებული აქტები არაადამიანური კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

105. ყველა შემთხვევაში, მის ხელთ არსებული დამამტკიცებელი საბუთების გათვალისწინებით, რომელთა შორისაა სადავო თავდასხმის ვიდეოჩანაწერი და მომჩივანთა ჩვენებები, სასამართლო თვლის, რომ ამ 14 პირის, ისევე, როგორც მე-100 და 101-ე პუნქტებში მითითებული 25 მომჩივნის მიმართ განხორციელებული ქმედებები ექვემდებარება კონვენციის მე-3 მუხლს და კვალიფიცირდება, როგორც ადამიანის ღირსების შემლახავი მოპყრობა.

საქმიდან ჩანს, - და ამ საკითხზე არც მთავრობა დავობს, რომ თავდამსხმელთა მიზანი იყო მომჩივანთა შეურაცხყოფა და საჯაროდ დამცირება, რათა მათ დაუფლებოდათ შიშისა და არასრულფასოვნების შეგრძნება და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შედეგად მორალურად დაცემულებს (cf. *Irlande c. Royaume-Uni, 1978 წ. 18 იანვრის გადაწყვეტილება, სერია № 25, გვ. 66, § 167*), ემოქმედათ საკუთარი ნებისა და სინდისის საწინააღმდეგოდ (*mutatis mutandis, Raninen c. Finlande, 1997 წ. 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, კრებული 1997-VIII, გვ. 2821-2822, § 55; Keenan c. Royaume-Uni, № 27229/95, §110, CEDH 2001-III*) და აღარ გაემართათ რელიგიური თავყრილობები, რომლებიც, საკუთარი რწმენიდან გამომდინარე, მიუღებელი იყო მამა ბასილისა და მისი მომხრეებისთვის (იხ. ზემოთ, §§ 13, 31 და 67). ამ თვალსაზრისით სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული თავდასხმა ფირზე გადაიღო აგრესორთა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა. სავარაუდოდ ჩანაწერი გამიზნული იყო მესამე პირთათვის საჩვენებლად (იხ.

ზემოთ, §14). ამასთანავე, თავდასხმის ვიდეოჩანაწერი რამდენიმე დღის განმავლობაში გადაიციმოდა ორი სატელევიზიო არხით (იხ. ზემოთ, §§ 34 და 35), რამაც შესაძლებლობა მისცა ფართო საზოგადოებას, ენახა ძალადობის ის სცენები, რომელთა მსვერპლნიც მომჩივანები გახდნენ, მათ შორის, ბატონი ალექსი ხითარიშვილის მიმართ ჩადენილი რელიგიური ხასიათის დამამცირებელი ქმედებები (იხ. ზემოთ, § 18).

106. რაც შეეხება მომჩივნებს (იხ. ზემოთ, §26), ქალბატონებს: ლამარა არსენიშვილს, ელენე ჯოჯუას, ქეთევან ჯანაშვილს, თინა მახარაშვილს, დოდო კახიშვილს, ლალი ხითარიშვილს, ნუნუ ღვინიაშვილს, ნელი გიორგაძეს, ეკა კერძევაძეს, დარეჯან კოტრანოვას, შახინა შარიპოვას და ბატონებს: რომიკო ზურაბაშვილს, ამირან არაბიძეს, ზაქრო ქოჩიშვილს, ჯამბულ არაბიძეს და დათო გვარამიას, ისინი აცხადებენ, რომ თავი დაადწიეს აგრესიას.

107. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ამ 16 პირის მიმართ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

108. რაც შეეხება ამ გადაწყვეტილების დანართში ჩამოთვლილ 37 მომჩივანს, აღნიშნული ნომრებით 56-დან 92-მდე, ასევე ქალბატონ ნინო გნოლიძეს, მათ არ წარმოუდგენიათ მათ მიმართ განხორციელებული ქმედებების დამადასტურებელი არავითარი საბუთი. ისინი ასევე არ აზუსტებენ, რაში მდგომარეობს თითოეულ მათგანთან მიმართებაში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. მხოლოდ ქალბატონი ნინო ჯანაშვილის ჩვენება იძლევა იმის საშუალებას, რომ ვივარაუდოთ, რომ აგრესორები თავს დაესხნენ ქალბატონ ნინო გნოლიძეს (იხ. ზემოთ, §17). უფრო მეტიც, საქმიდან არ ჩანს, რომ ამ ოცდაჩვიდმეტმა მომჩივანმა და ქალბატონმა ნინო გნოლიძემ სხვების მსგავსად მიმართეს კომპეტენტურ ორგანოებს განცხადებით იმის თაობაზე, რომ დაექვემდებარნენ კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობას. ამასთანავე, სასამართლო აღნიშნავს, რომ დანართში 93-დან 97-მდე ნომრებით მითითებული ხუთი მომჩივნის ვინაობა ბუნდოვანი რჩება.

109. ამ პირობებში სასამართლო ადგენს, რომ წინა პუნქტში მითითებულ პირთა მიმართ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

ii) ხელისუფლების რეაქცია და 42 მომჩივნის საჩივრების მსვლელობა (§§ 102-105)

110. სასამართლო აცხადებს, რომ მომჩივანთა ჩვენებების მიუხედავად, არ არის დამტკიცებული, რომ პოლიცია წინასწარ იყო გაფრთხილებული მამა ბასილის მიერ იმ თავდასხმის შესახებ, რომელსაც ეხება მოცემული საქმე. ამას გარდა, სადავო ფაქტების ვიდეოჩანაწერი წარმოდგენილი მომჩივანთა მიერ, არ ადასტურებს იმას, რომ პოლიციელები ესწრებოდნენ მათზე განხორციელებულ ძალადობას. არ არსებობს რა არავითარი სხვა სამხილი, სასამართლო არ მიიჩნევს დადგენილად იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ სადავო თავდასხმას.

111. სამაგიეროდ, საქმე შეიცავს საკმარის მტკიცებულებებს იმის დასადასტურებლად, რომ მომჩივანთა მიერ სხვადასხვა გზით,

საკმაოდ სწრაფად (იხ. ზემოთ, § 14 *in fine* და 28) გაფრთხილებულმა პოლიციელებმა უარი თქვეს საქმეში დაუყოვნებელ ჩარევაზე, რათა აღეკვეთათ ძალადობა და დაეცვათ მსხვერპლნი. სხვათა შორის, ამ მოსაზრებას მთავრობა ვერ უპირისპირებს სათანადო არგუმენტს. როდესაც პოლიცია მაინც მივიდა შემთხვევის ადგილზე, რამდენიმე მომხივანმა, რომლებიც ჯერ კიდევ ბლოკირებულნი იყვნენ შენობის შიგნით, შეძლო გაქცევა (იხ. ზემოთ, პუნქტი 29), მაგრამ როგორც ჩანს, ეს ჩარევა პოლიციის მხრიდან არ იყო გააზრებული და დაგეგმილი. ფაქტობრივად, აგრესიის მრავალი ფაქტი, მათ შორის, ყველაზე სასტიკიც, მოხდა პოლიციის მოსვლამდე. მსხვერპლები დაამცირეს და შეურაცხყვეს, წაართვეს პირადი ნივთები და დაუწვეს რელიგიური ლიტერატურა (იხ. ზემოთ, §§ 16-18, 20, 24, 25, 27, 30 და 31).

112. რაც შეეხება შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, სასამართლო ადგენს, და მთავრობა არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ კომპეტენტური ორგანოები საკმარისზე მეტად იქნენ ინფორმირებულნი ძალადობისა და დამცირების ამ აქტების შესახებ.

113. კერძოდ, თავდასხმის მეორე დღესვე მე-100, 101-ე, 103-ე და 104-ე პუნქტებში ჩამოთვლილმა 42 მომხივანმა საჩივარი შეიტანა ქალაქ თბილისის პროკურორის სახელზე იმ ძალადობრივი აქტების მხილებით, რომლის მსხვერპლნიც ისინი გახდნენ (იხ. ზემოთ, §38). აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ საქმეში დაზარალებულად ცნობილ იქნა მხოლოდ 11 მომხივანი (იხ. ზემოთ, §40): ბატონები მირიან არაბიძე, ილია მანჭკავა, ვლადიმერ ქოქოსაძე და შოთა მაისურაძე, ქალბატონები ნორა ლელაშვილი, ნათელა კობაიძე, ფატმან თაბაგარი, ნინო ლელაშვილი, ზაირა ჯიქურაშვილი, ია ჭამაური და მაყვალა მამუკაძე.

114. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანოები, რომელთაც ევალებოდათ საქმის გამოძიება, ვალდებულნი იყვნენ ასევე დაუყოვნებლივ დაეწყოთ დანარჩენი 31 მომხივნის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში აღედრათ სისხლის სამართლის საქმე და გაეცარებინათ სათანადო ზომები ჭეშმარიტების დასადგენად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 261-ე მუხლის I პუნქტი და 265-ე მუხლის მე-4 პუნქტი). თუმცა, ხელისუფლებამ არავითარი რეაგირება არ მოახდინა ამ 31 მომხივნის საჩივარზე, რომელთაც მიაწოდეს კონკრეტული დეტალები მათი და მათი შვილების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის (სისხლის სამართლის 125-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის) და მათი რელიგიური შეკრებებისთვის უკანონოდ, ძალადობის გზით ხელის შეშლის (იმავე კოდექსის 155-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის) თაობაზე.

115. მთავრობას არ მოუწოდებია არავითარი განმარტება ხელისუფლების მხრიდან რეაგირების არარსებობასთან დაკავშირებით.

116. რაც შეეხება დაზარალებულად ცნობილი 11 მომხივნის საჩივარს, 1999 წ. 9 დეკემბრიდან, იმ დღიდან, როდესაც მათი საქმე გადაეგზავნა ქალაქ თბილისის პოლიციას, 2000 წ. 31 იანვრამდე საქმე გადაეცემოდა პროკურატურასა და პოლიციას დაქვემდებარებულ სხვადასხვა უწყებას, სანამ კვლავ არ დაუბრუნდა ქალაქ თბილისის პოლიციას (იხ. ზემოთ, §§ 41-44).

მთავრობას არ მოუწოდებია არავითარი განმარტება ამ გადაგზავნების მოტივაციისა და საჭიროების თაობაზე.

117. პოლიციის გამომძიებელმა, რომელსაც მოცემული საქმე გადაეცა, 2000 წ. 31 იანვარს, სამ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, დაზარალებულ მხარესთან, ბატონ მირიან არაბიძესთან ერთად ჩაატარა ოთხი პირის იდენტიფიკაციისა და ჯვარედინი დაკითხვის პროცედურა. მ. არაბიძემ ბატონ მ. ნიკოლოზიშვილში და მეორე პიროვნებაში ამოიცნო თავდამსხმელები. თუმცა, თავიდანვე საჩივარა რა, რომ თავისი მართლმადიდებლური რწმენის გამო ვერ შეძლებდა ყოფილიყო მიუკერძოებელი (იხ. ზემოთ §44) ამ საქმეში, გამომძიებელმა აღძრა საქმე ბატონი მირიან არაბიძის მიმართ, ხოლო საკითხი ბატონი მ. ნიკოლოზიშვილისა და მეორე სავარაუდო თავდამსხმელის პასუხისმგებლობის შესახებ რეაგირების გარეშე დატოვა. იმ ფაქტს, რომ ბატონმა მირიან არაბიძემ ამ ორ პიროვნებაში ამოიცნო დამნაშავენი მის მიმართ განხორციელებულ აგრესიაში (იხ. ზემოთ, პუნქტები 16 და 21), არავითარი მსვლელობა აღარ მისცემია. ბატონი მირიან არაბიძე გადაეცა სასამართლოს მამა ბასილის ორ მომხრესთან ერთად, რომელთაც ბრალად ედებოდათ რელიგიური ლიტერატურის დაწვა. ბატონი არაბიძე დამნაშავედ იქნა ცნობილი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში მაშინ, როდესაც მამა ბასილის ორი მომხრის საქმე დაბრუნდა დამატებით გამოძიებაში. თუმცა, ამ გამოძიებას საბოლოოდ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია (იხ. ზემოთ, §§ 56, 57 და 83 ინ ფინე).

118. სასამართლო წუხილს გამოთქვამს, რომ ამ პირობებში სახელმწიფო ორგანოები (იხ. ზემოთ, §§ 48 და 51), ისევე, როგორც მთავრობა სასამართლოს წინაშე, კვლავ ამტკიცებს, რომ მოცემულ საქმეზე გამოძიების გაგრძელება შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ ვერ ხერხდებოდა ძალადობაში დამნაშავეთა დადგენა. კომპეტენტური ორგანოების უმოქმედობის ამგვარი გამართლება კიდევ უფრო გამოაზიანებელია იმის გამო, რომ შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ არავინ დააკავა; რომ თავდასხმის დღესვე მამა ბასილი და ბატონი მ. ნიკოლოზიშვილი იმყოფებოდნენ პოლიციაში ბატონ მირიან არაბიძესთან ერთად, რომელიც ერთადერთი დაკავებული აღმოჩნდა; რომ 1999 წ. 17, 18 და 19 ოქტომბერს, სახელმწიფო სატელევიზიო არხებმა გადასცეს მომჩივანთა მიმართ ჩადენილი ძალადობის სრული სცენები; რომ ერთ-ერთი ამ გადაცემის ვიდეოჩანაწერი, რომელსაც სასამართლო ფლობს, ნათლად წარმოაჩინეს არა მარტო მამა ბასილს და პ. ივანიძეს, არამედ საშუალებას იძლევა დადგინდეს თავდამსხმელთა უმრავლესობის ვინაობა; რომ ტელევიზიით “რუსთავი-2” 1999 წ. 18 ოქტომბერს გადაცემულ ინტერვიუში, მამა ბასილი გადაღებულია იმ ხანძრის ფონზე, რომელშიც იწვოდა მომჩივანთა რელიგიური ლიტერატურა. გადაცემაში მამა ბასილმა კმაყოფილება გამოხატა ამ აქტებთან დაკავშირებით და ახსნა თავისი ქმედებების საფუძვლიანობა (იხ. ზემოთ, §§ 34 და 35).

119. ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ კომპეტენტური ორგანოები, ფლობდნენ რა მნიშვნელოვან და საკმარის სამხილებს იმისათვის, რომ აღესრულებინათ კანონით მათზე დაკისრებული მოვალეობა, გამოიჩინეს აშკარა დაუდევრობა სავარაუდო დამნაშავეთა დადგენის საქმეში (cf. *Indelicato c. Italie*, № 31143/96, § 37, 2001 წ. 18 ოქტომბერი). მათ საფუძვლიანი მიზეზების გარეშე გადააჭარბეს

ხანდაზმულობის ვადას (იხ. ზემოთ, §§ 64, 78 [სსსკ-ის 27-ე მუხლის I პუნქტი და 29-ე მუხლის I დ) ქვეპუნქტი] და 79).

120. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წ. 22 მარტის დეკრეტის საფუძველზე და საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შედეგად (იხ. ზემოთ, პუნქტები 60 და 71-73) მამა ბასილსა და პ. ივანიძეს 2001 წ. 4 ოქტომბერს წაეყენათ ბრალი რელიგიური ძალადობის სხვა ფაქტებთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ, §§ 61, 65, 84, 85 და 90). პროცესი დასრულდა 2005 წ. 31 იანვარს. ბრალდებულებს ოთხ სხვა პირთან ერთად თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. მიუხედავად ამისა, ეს გადაწყვეტილება სრულიად არ ანეიტრალებს იმ ფაქტს, რომ ამ პირთა და ათეულობით სხვა თავდამსხმელის პასუხისმგებლობის საკითხი არ გამხდარა სერიოზული ძიების საგანი მომხივანთა მიმართ 1999 წ. 17 ოქტომბერს განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით. მხოლოდ დაწყება გამოძიებისა, როგორც ეს მოცემულ საქმეში მოხდა, რომელიც არაეთვზის შეწყდა ყოველგვარი საფუძვლიანი მიზეზების გარეშე და რომელსაც საბოლოოდ არანაირი გადაწყვეტილება არ მოჰყოლია (იხ. ზემოთ, §§ 63, 64 და 119), ვერ დააკმაყოფილებს კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს (*Davtian c. Georgie*, # 73241/01, § 46, 2006 წ. 27 ივლისი; *mutatis mutandis*, *Selmouni c. France* [GC], № 25803/94, §§ 78-79, CEDH 1999-V).

121. მთავრობის არგუმენტი, რომ ამჟამად “პროცედურული თვალსაზრისით” შეუძლებელია ამ ფაქტებზე ძიების წარმოება და რომ იელოვას მოწმეები მშვიდად ცხოვრობენ 2003 წ. რევოლუციის შემდეგ (იხ. ზემოთ, პუნქტი 88), ვერ შეცვლის ამ დასკვნას. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მის წინაშე დგას მხოლოდ საქართველოს უწყვეტი პასუხისმგებლობის საკითხი – და არა რომელიმე მთავრობის ან გარკვეული პოლიტიკური ძალისა. სასამართლოს არ შეუძლია გაითვალისწინოს ინსტიტუციონალური თუ შიდაპოლიტიკური უთანხმოებები (*mutatis mutandis*, *Assanidzé c. Géorgie* [GC], # 71503/01, § 149, CEDH 2004-II).

122. ბოლოს სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ 31 მომხივანს, რომელთა საჩივარსაც არავითარი მსვლელობა არ მისცემია, არ მიუღია ინფორმაცია ასეთი უმოქმედობის მიზეზების შესახებ. 11 მომხივანს, რომელიც დაზარალებულად იქნა ცნობილი საქმეში, არაფერი შეატყობინეს პროცედურის მიმდინარეობის და საქმის სხვადასხვა უწყებაში არაერთი გადაგზავნის შესახებ (იხ. ზემოთ, §§ 42, 50 და 63). მათ არ აცნობეს არც 2000 წ. 13 სექტემბერს გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილების თაობაზე. 2000 წ. 24 ოქტომბერს საქმის განახლების შემდეგ, გამოძიება კვლავ შეწყდა 2000 წ. 3 დეკემბერს. დაინტერესებულ მხარეებს არც ამ გადაწყვეტილების შესახებ მიუღიათ შეტყობინება. ზოგიერთი მათგანის ადვოკატმა მისი არსებობა მხოლოდ შემთხვევით გაიგო 2001 წ. 26 აპრილს (იხ. ზემოთ, § 63).

123. ამრიგად, მომხივნებმა შეატყობინეს კომპეტენტურ ორგანოებს მათ მიმართ განხორციელებული უკანონო მოპყრობის შესახებ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 235-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 265-ე მუხლის 1-ლი პუნქტები). თუმცა, მათ არ მიეცათ არავითარი საშუალება გაესაჩივრებინათ მათ საქმეზე გამოძიების არაეთვზის უსაფუძვლო შეწყვეტა და ამ მიზნით ესარგებლათ სასამართლო წესით ზემდგომ ორგანოებში გასაჩივრების

უფლებით. ამ უფლებას პროცესის მონაწილეს ანიჭებს სისხლის სსსკ-ის 235-ე მუხლის მე-2 და 242-ე მუხლის მე-2 პუნქტები.

124. საბოლოო ჯამში, სასამართლო ადგენს, რომ პოლიციამ უარი თქვა აღვიღებულ ჩარეულიყო სიტუაციაში და დაეცვა უკანონო მოპყრობისაგან მომჩივნები, რომელთა შორის, ზოგიერთი მათგანის ბავშვებიც იმყოფებოდნენ (იხ. ზემოთ, §§ 100-105). ეს პირები შემდგომშიც სრულ ინდიფერენტულობას წააწყდნენ კომპეტენტური ორგანოების მხრიდან. ამ უკანასკნელებმა ყოველგვარი საფუძვლიანი მიზეზის გარეშე თქვეს უარი ემოქმედათ კანონის თანახმად მომჩივნებთან მიმართებაში. ასეთმა მიდგომამ იმ ორგანოების მხრიდან, რომლებიც ვალდებული არიან ჩაატარონ გამოძიება სისხლისსამართლებრივი დანაშაულის თაობაზე, სასამართლოს აზრით, ნულამდე დაიყვანა გასაჩივრების ყველა შესაძლო საშუალების ეფექტიანობა.

125. ამრიგად, სასამართლო ადგენს, რომ აღნიშნული 42 პირის მიმართ საქართველოს სახელმწიფომ არ აღასრულა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე თავისი პოზიტიური ვალდებულება.

II. კონვენციის მე-9 მუხლის საგარაუდო დარღვევა

126. კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე მომჩივანები ჩივიან, რომ დაირღვა მათი უფლება გააცხადონ თავიანთი რელიგია ღოცვით, შეკრებებითა და კოლექტიური რიტუალების აღსრულებით.

კონვენციის მე-9 მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

“1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.”

1. მხარეთა არგუმენტები

127. მომჩივნები მიიჩნევენ, რომ ძალადობის იმ აქტებს, რომელთაც ისინი დაექვემდებარნენ, არავითარი გამართლება არ აქვს. ისინი ზედმეტად თვლიან დავას იმის თაობაზე ამ შემთხვევაში, “დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი იყო თუ არა ჩარევა”. ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლების მიერ ამ ქმედებების ჩამდენთა დადგენასა და დამნაშავეთა დასჯაზე უარმა გააღვივა რელიგიური შეუწყნარებლობა მათ მიმართ და ხელი შეუშალა მათ, გაეცხადებინათ თავიანთი რელიგია მშვიოდობიანი შეკრებებითა და კოლექტიური რიტუალების აღსრულებით. მომჩივნები ამხელენ პოლიციის მიერ

მხარდაჭერილ და პროკურატურის უმოქმედობით გაძლიერებულ რელიგიურ ექსტრემიზმს, რომლის მსხვერპლნიც თავად გახდნენ.

127. მთავრობა არ ეთანხმება ამ ამოსაზრებას, თუმცა, არ მოჰყავს არანაირი არგუმენტები.

2. სასამართლოს შეფასება

129. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონგრეგაციის შეკრებას, როდესაც მასზე განხორციელდა თავდასხმა, ესწრებოდა 101 ადამიანი. თუმცა, მათგან ხუთი პირის დაღვანა (ისინი ამ გადაწყვეტილების დანართში აღნიშნულნი არიან ნომრებით 92-დან 97-მდე), გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ ამ პირებთან მიმართებაში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას.

130. რაც შეეხება დანარჩენი 96 მომჩივნის პრეტენზიებს, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული რელიგიის თავისუფლება, კონვენციის თანახმად, “დემოკრატიული საზოგადოების” ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. ის არის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომელიც ახდენს მორწმუნეთა იდენტიფიცირებას და მათი რწმენის კონცეპტუალიზაციას. რელიგიის თავისუფლებაში იგულისხმება სინდისი, მაგრამ ამას გარდა, ეს ცნება “მოიცავს” “რელიგიის გამოხატვის თავისუფლებასაც”. (Kokkinakis c. Grèce, 1995 წ. 25 მაისის გადაწყვეტილება, სერია № 260, § 31). რელიგიურ გაერთიანებაში მონაწილეობა პირის მიერ რელიგიის გამოხატვაა, რაც დაცულია კონვენციის მე-9 მუხლით (Hassan et Tchaouch c. Bulgarie [GC], № 30985/96, § 62, CEDH 2000- XI).

131. რამდენიმე შემთხვევასთან მიმართებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ამ სფეროში თავისი ძალაუფლების განხორციელებისას და სხვადასხვა რელიგიასთან, აღმსარებლობასა და სარწმუნოებასთან ურთიერთობაში სახელმწიფო ვალდებულია, იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი (Hassan et Tchaouch, ზემოთ დასახელებული, § 78; Manoussakis et autres c. Grèce, 1996 წ. 26 სექტემბრის გადაწყვეტილება, კრებული 1996-IV, § 47; Église métropolitaine de Bessarabie et autres c. Moldova, № 45701/99, § 123, CEDH 2001-XII), რაც სრულიად შეუთავსებელია მისი მხრიდან რელიგიური სარწმუნოების ლეგიტიმურობის შეფასების უფლებამოსილებასთან (ix. mutatis mutandis, Cha'are Shalom Ve Tsedek c. France [GC], # 27417/95, § 84, CEDH 2000-VII).

132. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ დაუშვებელია რელიგიის თავისუფლების სახელით სხვა ადამიანებზე ზეწოლის განხორციელება საკუთარი რელიგიური შეხედულებების გავრცელების მიზნით (Larissis et autres c. Grèce, 1998 წ. 24 თებერვლის გადაწყვეტილება, კრებული 1998-I, §§ 54 და 59). ამასთანავე, ხელისუფლების როლი მდგომარეობს არა დაძაბულობის მიზეზის აღმოფხვრაში პლურალიზმის გამორიცხვის გზით, არამედ იმის უზრუნველყოფაში, რომ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის დამკვიდრდეს შემწყნარებლური განწყობა (Serif c. Grèce, # 38178/97, § 53, CEDH 1999-IX). სახელმწიფოს ეს ფუნქცია ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას,

რელიგიური მშვიდობისა და შემწყნარებლობის დამკვიდრებას დემოკრატიულ საზოგადოებაში (დეფაჰ არტისი (Parti de la prospérité) et autres c. Turquie [GC], # 41340/98, 41342/98, 41343/98 et 41344/98, § 91, CEDH 2003-II). არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ მისიის აღსრულებამ შეიძლება დააკნინოს ეკლესიისა და სარწმუნოების როლი, რომლის მიმდევარიც ისტორიულად და კულტურულად არის ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობა.

133. მოცემულ საქმეში 96 მომჩივანს მათი რელიგიური მრწამსის გამო, რომელიც მიუღებლად ჩაითვადა, თავს დაესხნენ, დაამცირეს და მიაყენეს სერიოზული ფიზიკური შეურაცხყოფა კონგრეგაციის შეკრების დროს 1999 წ. 17 ოქტომბერს. მათ ჩამოართვეს რელიგიური ლიტერატურა, დაწვეს და აიძულეს ეყურებინათ ცეცხლისათვის. ერთ - ერთ მომჩივანს, ბატონ ა. ხითარიშილს რელიგიური სასჯელის სახით, ლოცვის თანხლებით გადაპარსეს თავი. ასეთი მოპყრობის შემდეგ მომჩივნები შეეჯახნენ სრულ ინდიფერენტულობასა და უმოქმედობას ხელისუფლების მხრიდან (იხ. ზემოთ, §§ 119, 123 და 124). იმის გამო, რომ მომჩივანები ეკუთვნოდნენ რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც განიხილებოდა, როგორც საფრთხე მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის, ხელისუფლებამ არ მისცა მსვლელობა მათ საჩივრებს. ვინაიდან მომჩივნები მოკლებულნი იყვნენ გასაჩივრების ყოველგვარ საშუალებას, მათ ვერ შეძლეს დაეცვათ რელიგიის თავისუფლების უფლება სახელმწიფო ორგანოების წინაშე. 1999 წ. 17 ოქტომბრის თავდასხმა წარმოადგენდა იელოვას მოწმეების წინააღმდეგ მიმართულ ასეთი მასშტაბის აგრესიის პირველ აქტს. ხელისუფლების დაუდევრობამ შესაძლებელი გახადა აგრესორთა იმავე ჯგუფის მხრიდან რელიგიური ძალადობის გავრცელება მთელ საქართველოში (იხ. ზემოთ, პუნქტები 43, 61, 65 და 68). ამრიგად, მომჩივნებს გაუჩნდათ შიში, რომ მათი რწმენის მორიგი გამოხატვის შემთხვევაში ისინი კვლავ გახდებოდნენ ძალადობის მსხვერპლნი.

134. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ თავისი უმოქმედობით კომპეტენტურმა ორგანოებმა არ აღასრულეს თავიანთი ვალდებულება, მიეღოთ სათანადო ზომები, რათა მართლმადიდებელ ექსტრემისტთა ჯგუფს მამა ბასილის ხელმძღვანელობით გამოეჩინა შემწყნარებლობა მომჩივანთა რელიგიური გაერთიანების მიმართ და მიეცა მათთვის რელიგიის თავისუფლების უფლებით სარგებლობის საშუალება.

135. შესაბამისად, 96 მომჩივანთან მიმართებით ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის მე-13 მუხლის საგარაუდო დარღვევა

136. მომჩივნები თვლიან, რომ იმის გამო, რომ არ ჩატარდა გამოძიება მათზე განხორციელებული რელიგიური ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

“ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა”.

137. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანთა ეს პრეტენზია ემთხვევა კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლების საფუძველზე გამოთქმულ პრეტენზიებს (იხ. ზემოთ, პუნქტები 125 და 135). სასამართლო თვლის, რომ არც ერთი გამოკვეთილი საკითხი არ ექცევა კონვენციის მე-13 მუხლის მოქმედების ქვეშ.

IV. კონვენციის მე-14 მუხლის საგარაუდო დარღვევა მე-3 და მე-9 მუხლებთან კომბინაციაში

138. მომჩივანთა აზრით, მათ წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აქტებისადმი ხელისუფლებამ შემწეობის მიზნით მიდგომა გამოიჩინა, ვინაიდან ისინი ჩადენილი იყო რელიგიური უმცირესობის მიმართ მართლმადიდებლური სარწმუნოების სახელით. ხელისუფლებამ უბრალოდ უარი თქვა მომჩივანთა მიმართ კანონის აღსრულებაზე მათი სარწმუნოების გამო.

“ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა”.

139. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული “განსხვავებული მოპყრობა” დისკრიმინაციულია, თუ მას არ გააჩნია “ობიექტური და საფუძვლიანი გამართლება”, ანუ თუ მას არ აქვს “კანონიერი მიზანი” ან “თუ არ არსებობს პროპორციულობის გონივრული ურთიერთმიმართება დასახულ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის”. უფრო მეტიც, ხელშემკვრელი მხარეები ფლობენ შეფასების გარკვეულ ზღვარს იმის განსასაზღვრად შეიძლება თუ არა, და რა ფარგლებში შეიძლება სხვა მსგავს სიტუაციებში გამართლდეს განსხვავებული მოპყრობა. (Camp et Bourimi c. Pays-BAs, # 28369/95, § 37, CEDH 2000-X; Thilimmenos c. Grèce[GC], # 34369/97, § 44, CEDH –IV).

140. მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, სასამართლო ასკენის, რომ პოლიციის უარი დაუყოვნებლივ ადგილზევე ჩარეულიყო სიტუაციაში და დაეცვა მომჩივნები და ზოგიერთი მათგანის ბავშვები რელიგიური ძალადობისაგან, ასევე შემდგომი გულგრილობა, რომელიც კომპეტენტურმა ორგანოებმა გამოიჩინეს ამ პირთა მიმართ, დიდწილად განპირობებული იყო მომჩივანთა რელიგიური შეხედულებებით. მთავრობამ ვერ წარმოადგინა ამ მოსაზრების საწინააღმდეგო არგუმენტი. სასამართლოს აზრით, იმ მოხელეთა გამონათქვამები და პოზიცია, ვისაც შეატყობინეს თავდასხმის შესახებ და ვისაც მოგვიანებით დაევალა საქმის გამოძიება, შეუთავსებელია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპთან (იხ. ზემოთ, §§ 28 და 44). მთავრობამ ვერ წარმოადგინა აღნიშნულ პირთა მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციული მოპყრობის გამამართლებელი ვერანაირი არგუმენტი.

141. სასამართლო მიიჩნევს, რომ უყურადღებობამ, რომელიც პოლიციამ და საქმის გამოძიებით დაკავებულმა პირებმა გამოიჩინეს უკიდურესად მძიმე უკანონო ქმედებებისადმი მომჩივანთა რწმენის გამო, შესაძლებლობა მისცა მამა ბასილს გაეღვივებინა სიძულვილი მასმედის საშუალებებით და თავის

მომხრეებთან ერთად კვლავაც ჩაედინა რელიგიური ძალადობის არაერთი აქტი. ამასთანავე, იგი მიუთითებდა, რომ ეს ქმედებები ხელისუფლების არაოფიციალური მხარდაჭერით სარგებლობდა (იხ. ზემოთ, §§ 36, 54, 55, 66-68, 70 და 85). რამაც სამოქალაქო საზოგადოებაში დაბადა საფუძვლიანი ეჭვი ამ ბოროტმოქმედთა თანამზრახველობის შესახებ სახელმწიფოს წარმომადგენლებთან (იხ. ზემოთ, § 76).

142. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ მოცემულ მომხივანთა მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-3 და მე-9 მუხლებთან მიმართებაში.

V. კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების საგარაუდო დარღვევა

143. მომხივანთა აზრით, მათი რელიგიური ლიტერატურის განადგურებით 1999 წ. 17 ოქტომბრის თავდასხმის დროს, რასაც არ მოჰყოლია დამნაშავეთა დასჯა, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული უფლებები. ისინი ასევე თვლიან, რომ მათზე მშვიდობიანი შეკრების დროს თავდასხმის ფაქტი, რასაც ხელისუფლების მხრიდან არ მოჰყოლია სათანადო ზომები მათ დასაცავად, წარმოადგენს კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას.

144. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს პრეტენზიები ემთხვევა იმ დასაბუთებას, რომელსაც მომხივნები აყენებენ კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლებთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ დადგენილია ამ დებულებების დარღვევა, სასამართლო არ თვლის საჭიროდ, რომ საჩივარი განხილულ იქნას მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე.

VI. კონვენციის 41-ე მუხლის საგარაუდო დარღვევა

145. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერედი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მსოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთნებს”.

ა. მორალური ზიანი

1. მხარეთა არგუმენტები

146. მომხივანები, უპირველეს ყოვლისა, ითხოვენ, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება დაურიგდეს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ ყველა ორგანოს და მათ ნათლად განემარტოთ, რას გულისხმობს კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებები.

147. მომხივნები ასევე ითხოვენ, რომ მორალური ზიანის სანაცვლოდ კონგრეგაციის 120 წევრს გადაეხადოს 25 000 ამერიკული დოლარი (19 319 ევრო). ამას გარდა, 2 500 ამერიკული დოლარი (1 931 ევრო) გადაეცეს შემდეგი ოთხი

მომჩივნიდან თითოეულს: ბატონ ვ. ქოქოსაძეს, ქალბატონ ნ. ლელაშვილს, ბატონ ა. ხითარიშვილს და ქალბატონ ლ. ჯიქურაშვილს. მომჩივნები ხაზს უსვამენ, რომ აღნიშნული თავდასხმის შედეგად მათ გადაიტანეს მძიმე ემოციური სტრესი, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან დაუცველობის გამო გამუდმებული შიშის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათი შეფასებით, მოთხოვნილი თანხები საკმაოდ მცირეა.

148. მთავრობა კვლავ იმეორებს 86-ე, 88-ე და 90-ე პუნქტებში მოყვანილ არგუმენტებს. კერძოდ, რომ სადავო თავდასხმაში დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი აღძრული იყო და რომ 2004 წ. 12 მარტს მამა ბასილისა და მისი მომხრეების დაპატიმრებით სახელმწიფომ აღმოფხვრა რელიგიური ძალადობის პრობლემა. შესაბამისად, მთავრობას მიაჩნია, რომ მომჩივნებს არ მიდგომიათ მორალური ზიანი და არ არის მართებული მათთვის ამ საფუძველზე რაიმე თანხის მიკუთვნება. მთავრობის აზრით, იმ ფაქტის დადგენა, რომ ადგილი ექნებოდა კონვენციის მუხლების დარღვევას, საკმარისი პირობაა სამართლიანი დაკმაყოფილებიასათვის.

149. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, მთავრობა მიუთითებს, რომ კომპენსაციის მოთხოვნა კონგრეგაციის 120 წევრისთვის არ არის დასაბუთებული, რადგან დაშვებულად მხოლოდ 101 პირის საჩივარი გამოცხადდა. ამასთანავე მთავრობა მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი თანხები გადაჭარბებულია და ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საფუძვლიანი იქნება 97 მომჩივანს გადაეხადოს 50 ამერიკული დოლარი (39 ევრო) თითოეულს, ხოლო 500 ამერიკული დოლარი (386 ევრო) - ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი მომჩივნიდან თითოეულს.

150. რაც შეეხება 146-ე პუნქტში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას, მთავრობა მიუთითებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები დეკლარაციული ხასიათისაა და მომჩივნებს არ აქვთ უფლება მიუთითონ მთავრობას გადაწყვეტილების აღსრულების გზები (იხ. სხვა წყაროებს შორის, Scozzari et Giunta c. Italie [GC], # 39221/98, 41963/98, \$ 249, CEDH 2000-VII).

2. სასამართლოს შეფასება

151. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან დაადგინა, რომ 96 მომჩივანთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან მიმართებით (იხ. ზემოთ, პუნქტები 125 და 142) და მე-9 მუხლის დარღვევას, როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან მიმართებაში (იხ. ზემოთ, პუნქტები 135 და 142). შესაბამისად, მორალური ზიანის საკითხი უნდა შემოიფარგლოს იმ პირებით, რომლებიც სასამართლომ აღიარა აღნიშნული ძალადობრივი აქტების მსხვერპლად.

152. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის აზრს იმის თაობაზე, რომ 1999 წელს მომჩივნების უფლებების დარღვევის შემდგომ მათ აღარ განუცდიათ მორალური ზიანი, ვინაიდან 2004 წ. მარტში სახელმწიფომ აღკვეთა იელოვას მოწმეთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აქტები. პირიქით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნებს მიაღვათ აშკარა მორალური ზიანი მათ მიმართ

განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი აგრესიის და შეურაცხყოფის შედეგად, ისევე, როგორც იმ პროცედურული ჩიხისა და კომპეტენტური ორგანოების უმოქმედობით გამოწვეული განსაკუთრებულად მძიმე სიტუაციის გამო, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ. ეს მორალური ზიანი არ შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ ძალადობის ფაქტების აღიარებით.

153. სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობითა და მოთხოვნილი თანხების ოდენობის გათვალისწინებით, სასამართლო ანიჭებს მომჩივნებს შემდეგ თანხებს, ამ თანხას ასევე უნდა დაემატოს ნებისმიერი სხვა გადასახადი, რომელთა გადახდაც მომჩივნებს შეიძლება დაეკისროთ:

ა) კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამო, როგორც ცალკე, ისე მე-14 მუხლთან მიმართებაში:

- ქალბატონ ფატმან თაბაგარს და ბატონ მირიან არაბიძეს და ალექსი ხითარიშვილს 700 ევრო თითოეულს;

- ქალბატონებს ნორა ლელაშვილს, ნინო ლელაშვილს, ზაირა ჯიქურაშვილს, ნათელა კობაიძეს, როზა ქინქლაძეს, ნინო ჯანაშვილს, ლია ბახუტაშვილს, ია ჭამაურს და ბატონებს ვლადიმერ ქოქოსაძეს, მერაბ უიქილაშვილს, და ილია მანწკავას, ასევე ქალბატონებს იზოლდა ფურცელაძეს, ია ვარდანიშვილს, ლეილა მჭედლიშვილს, ლეილა ცარიტოვს, რაისა მაისურაძეს, ქეთინო ქიმერიძეს, ამალია აღდგომელაშვილს, ნათია მილაშვილს, იზა ხითარიშვილს, ბატონ ჯუმბერ ბლარაშვილს და შოთა მაისურაძეს 350 ევრო თითოეულს;

- ბატონებს: ნოდარ ხოლოდს და თენგიზ ჯიქურაშვილს, ქალბატონებს ბელა კახიშვილს, ლია მანწკავას, ხათუნა კერძევაძეს. ელენე მამუკაძეს, ნანა ფილიშვილს, მაყვალა მამუკაძეს, ეთერ ჭრელაშვილს, ლამარა მჭედლიშვილს, ნანა კაპანაძეს, ფიქრია ცარიელაშვილს, ნანი კობაიძეს და ლილი ქობესოვას 120 ევრო თითოეულს;

- ქალბატონებს ლია ბახუტაშვილს და რაისა მაისურაძეს შესაბამისად 300 და 200 ევრო მათი ვაჟების მიმართ განხორციელებული უკანონო მოპყრობის გამო;

- ქალბატონებს ლეილა ჯიქურაშვილს, ლია სიღამონიძეს, სესილ გაგნიძეს და ია ვარდანიშვილს 160 ევრო თითოეულს მათი ბავშვების მიმართ განხორციელებული უკანონო მოპყრობის გამო;

ბ) კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევის გამო, როგორც ცალკე, ისე მე-14 მუხლთან მიმართებაში:

- 150 ევრო დანართში ნომრებით 1-დან 92-მდე აღნიშნულ თითოეულ მომჩივანს, ასევე ბატონებს ვლადიმერ ქოქოსაძეს და ალექსი ხითარიშვილს და ქალბატონებს ნინო ლელაშვილსა და ლეილა ჯიქურაშვილს.

154. მთავრობისადმი მომჩივანთა მიერ მოთხოვნილ მითითებასთან (იხ. ზემოთ, §146) დაკავშირებით, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევაზე პასუხისმგებელი მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ გადაუხადოს დაზარალებულებს მიკუთვნებული თანხები სამართლიანი დაკმაყოფილების სახით, არამედ მინისტრთა კომიტეტის კონტროლის ქვეშ შეარჩიოს ზოგადი და/ან, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ზომები ეროვნულ სისტემაში დასანერგად, რათა აღმოიფხვრას

სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევები და, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოწვეული შედეგები, იმგვარად, რომ აღადგინოს ამ დარღვევებამდე არსებული სიტუაცია (Maestri c. Italie [GC], # 39748/98, § 47, CEDH 2004-I). სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის დაავალოს მთავრობას საზოგადოებრივი წესრიგის დამცავი ორგანოებისათვის ამ გადაწყვეტილებასა და თანმდევი განმარტებების დარიგება (სხვა წყაროებს შორის, Oberschlick c. Autriche (#1), 1991 წ. 23 მაისის გადაწყვეტილება, სერია A № 204, § 65). ამასთანავე, იგი ვერ ხედავს განსაკუთრებული ხასიათის გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც მთავრობას მოცემულ საქმეში უნდა დაევალოს ამა თუ იმ ზომის გატარება (cf. a contrario, Assanidzé, ზემოთ დასახელებული, §§ 202-203).

ბ. ხარჯები და დანახარჯები

1. მხარეთა არგუმენტები

155. მომჩივნები ითხოვენ, რომ მთავრობამ აუნაზღაუროს შიდასახელმწიფოებრივ ინსტანციებში მათი საჩივრის განხილვის მცდელობებისათვის გაღებული მთლიანი თანხა, აგრეთვე სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებასთან დაკავშირებული თანხის სრული ოდენობა.

156. ვინაიდან შიდასახელმწიფოებრივ ინსტანციებში მომჩივანთა ინტერესებს იცავდა ბატონი ჭაბაშვილი, ამ საფუძველზე ისინი ითხოვენ თანხას 25.00 დოლარის ოდენობით (1.931 ევრო). კერძოდ, ბატონმა ჭაბაშვილმა მოამზადა საქმის ფაქტობრივი მხარე, იგი ცალ-ცალკე ხედებოდა მსხვერპლებს, ეხმარებოდა მათ საჭირო ქმედებების ჩატარებაში და წარმოადგენდა მათ სხვადასხვა ორგანოს წინაშე. კონგრაცის წარმომადგენლისთვის, ბატონი ქოქოსადისთვის გაგზავნილ 2003 წ. 1 სექტემბრით დათარიღებულ ციფრობრივ ანგარიშში ბატონი ჭაბაშვილი აღნიშნავს, რომ აპირებს მოსთხოვოს მომჩივნებს ამ თანხის, ასევე ქვემოთ, 160-ე პუნქტში მითითებული თანხის გადახდა სასამართლოს მიერ ამ საჩივარზე გადაწყვეტილებას გამოტანისთანავე.

157. სასამართლოს წინაშე მომჩივნებს წარმოადგენდნენ კანადელი ადვოკატი ბატონი კარბონო ბატონი ჭაბაშვილის დახმარებით, კანადელი ადვოკატი ბატონი ჯონ მ. ბერნსი, ბერძენი ადვოკატი ბატონი ნიკოს კ. ალივიზატო და ქალბატონი ნუალა მოლი, ლონდონის AIRE (Advice on Individual Rights in Europe) ცენტრიდან.

158. იმ მომსახურებისათვის, რომელიც პირადად ჩაატარა (სამხილების მოპოვება, დახმარება ფაქტების ინდივიდუალურად ჩმოყალიბებაში, საჩივარის შედგენა და დოკუმენტაციის მომზადება, მიმოხილვების შედგენა, თხოვნის შედგენა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლების გამოყენების თაობაზე 2001 წ. 29 ივნისსა და 10 ოქტომბერს, ინფორმაციის მოპოვება საქართველოში იელოვას მოწმეთა მდგომარეობის დამძიმების შესახებ, საქმის ღია წესით განხილვის შესახებ მოთხოვნის შედგენა და ა.შ.) ბატონი კარბონო ითხოვს 15.750 ამერიკულ დოლარს (12.170 ევრო). მან წარმოადგინა ციფრობრივი ანგარიში რომლითაც 2003 წ. 1 სექტემბერს მიმართა ბატონ ჭაბაშვილს და

მოითხოვა, რომ სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილებას გამოტანისთანავე მომჩივნებმა გადაუხადონ მას ეს თანხა.

159. ამას გარდა, ბატონმა კარბონომ წარმოადგინა ბატონი მ. ალივიზატოს 2001 წ. 11 ივლისის წერილი, რომელშიც ის სთხოვდა, რომ მოცემული საჩივარისა და იელოვას მოწმეთა გაერთიანების საქმესთან დაკავშირებით (Uniou des témoins de Jehovah c Géorgie, N 72 874/01 წარმოებაში მყოფი საჩივარი) მისთვის გაწეული დახმარებისათვის გადაერიცხა მის საბანკო ანგარიშზე 1.500 ამერიკული დოლარი, (1.159 ევრო)

160. ბატონი კარბონო ამასთანავე ამტკიცებს, რომ ამ საქმეში შესრულებული სამუშაოსათვის ბატონ ჭაბაშვილს და ბერნსს უნდა გადაეხადოს შესაბამისად 2 325 და 1 000 ამერიკული დოლარი (1.797 და 773 ევრო) გაწეული კონსულტაციებისა და იურიდიული დახმარებისათვის. ამის დასტურად ბატონმა კარბონომ წარმოადგინა 2003 წ. 1 სექტემბრის წერილი, რომელშიც ბატონი ბერნსი მას სთხოვდა აღნიშნულ წინასწარ დადგენილ თანხას 1.000 ამერიკული დოლარის ოდენობით.

161. ამასთანავე ბატონი კარბონო ითხოვს 4.500 ამერიკულ დოლარს (3.477 ევრო) “შომავალი სავარაუდო ხარჯებისათვის” და 1.025 ამერიკულ დოლარს (792 ევრო), რომელიც დასჭირდა დოკუმენტების თარგმნას.

162. ზემოთ მითითებულ თანხებში გადასახადები არ იგულისხმება. 163. მთავრობა მიიჩნევს, რომ ბატონების ჭაბაშვილისა და კარბონოს გარდა სასამართლოს წინაშე მომჩივანთა ინტერესების დაცვაში კიდევ სამი პირის მონაწილეობა არ წარმოადგენდა აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, ის ითხოვს, რომ ბატონების ბერნსის და ალივიზატოს და ქალბატონი მოლის მიერ გაწეული დახმარების ხარჯებთან დაკავშირებული თხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

164. რაც შეეხება ბატონი ჭაბაშვილის ანაზღაურებას, მთავრობა აღიარებს, რომ მან ნამდვილად შეასრულა გარკვეული სამუშაო. მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ მომჩივანთა საქმის განხილვა შიდასახელმწიფოებრივ ინსტანციებში არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სირთულით. ამიტომ მთავრობა მიიჩნევს, რომ 500 ამერიკული დოლარი (386 ევრო) ყველა გადასახადის ჩათვლით საკამარისი თანხაა ამ თვალსაზრისით.

165. იმასთან დაკავშირებით, რომ ბატონი ჭაბაშვილი და კარბონო ითხოვენ თანხას რეგლამენტის 39-ე და მე-40 მუხლების გამოყენების შესახებ თხოვნის მომზადებისა და სასამართლოსთვის საქართველოში იელოვას მოწმეთა მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საზღაურად, მთავრობის აზრით, აქ საქმე არ ეხება მითითებული დარღვევების აღსაკვეთად საჭირო თანხებს. აქედან გამომდინარე, ის ითხოვს, რომ ადვოკატთა თხოვნის ეს ნაწილი არ დაკმაყოფილდეს. სასამართლოში წარმოდგენილი ციფრობრივი ანგარიშების თანახმად (იხ. ზემოთ, §§ 156 და 158), ეს თანხა შეესაბამება 2.075 ამერიკულ დოლარს (1.603 ევრო).

166. რაც შეეხება დანარჩენს, მთავრობას გადამეტებულად მიაჩნია ბატონ ჭაბაშვილისა და კარბონოს მიერ სასამართლოში მომჩივანთა წარმომადგენლობისათვის რეალურად გაწეული მომსახურებისათვის მოთხოვნილი თანხები და მიიჩნევს, რომ 2.050 ამერიკული დოლარი (11.584 ევრო) ყველა გადასახადის ჩათვლით ამ თვალსაზრისით საკამარისი და დასაბუთებული თანხაა.

2. სასამართლოს შეფასება

167. სასამართლო მიუთითებს, რომ მომჩივნებს არ მოუთხოვიათ იურიდიული დახმარება ამ საქმეში მათი წარმომადგენლობის მიზნით.

168. სასამართლო მიუთითებს, რომ პრეცედენტული სამართლის თანახმად ხარჯების ანაზღაურებაზე გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მაშინ, თუ დადგენილია, რომ ისინი ნამდვილად გადახდილი იქნა, ეს კი გამოწვეული იყო აუცილებლობით და მიზნად ისახავდა იმ ქმედების თავიდან აცილებას ან გამოსწორებას, რომელიც არღვევდა კონვენციას. (იხ. სხვა წყაროებს შორის, Donadzé c. Géorgie, № 74644/01, § 48, 7 მარტი 2006). სასამართლო ხაზს უსვამს, რომ იგი არ არის შეზღუდული ჰონორარების შეკალითა და შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკით, თუმცა, შეუძლია იხელმძღვანელოს ამით, (იხ.სხვა წყაროებს შორის, M.M. c. Pays-Bas, # 39339/98, § 51, 8 აპრილი 2003) და რომ კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნილი თანხის მოცულობა უნდა იყოს გონივრული (იხ. სხვა წყაროებს შორის, Nikolova c. Bulgarie [GC], # 31195/96, § 79, CEDH 1999 –II).

169. სასამართლოს აზრით, ეს საქმე ფაქტობრივი თვალსაზრისით რთულ საქმეს წარმოადგენს მომჩივანთა მრავალრიცხოვნებისა და იმის გამო, რომ ხელისუფლების პოზიციის შედეგად მტკიცების ტვირთი მთლიანად ამ პირებს დაეკისრათ. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი იქნა წერილობითი მასალების მთელი სერიები, ბატონები კარბონო და ჭაბაშვილი იძულებულნი იყვნენ წარმოედგინათ დიდი რაოდენობით დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე მომჩივანთა პრეტენზიების დასასაბუთებლად. სასამართლო ფლობს სათანადო დამამტკიცებელ საბუთებს, მათ შორისაა, ციფრობრივი ანგარიშები, როგორც ამ ორი ადვოკატის მიერ შესრულებული სამუშაოს, ასევე ბატონ ბერნსისა და ალივიზატოს მიერ ამ საქმეში გაწეული მომსახურების შესახებ. მეორეს მხრივ კი მომჩივნებს არ გააჩნიათ ქალბატონი მოლის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების დამადასტურებელი არავითარი საბუთი. საქმეში არსებული დოკუმენტები ვერ აზუსტებენ ამ საკითხს.

170. ადგენს რა სამართლიანობის საფუძველზე და ზემოთ ნახსენები პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, სასამართლო ანიჭებს მომჩივნებს 10 000 ევროს ბატონი კარბონოსთვის (იხ, ზემოთ, §§ 158 და 161 *in fine*), 3.750 ევროს ბატონი ჭაბაშვილისათვის (იხ. ზემოთ, §§ 156 და 160), 773 ევროს ბატონი ბერნსისათვის (იხ. ზემოთ, §§ 157 და 160) და 580 ევროს ბატონი ალივიზატოსთვის ანუ ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი თანხის ნახევარს, რაც შეესაბამება მოცემულ საქმეში მის მიერ შესრულებულ სამუშაოს (იხ. ზემოთ, § 159). ამ თანხებს ემატება თანხები, რომელიც მომჩივნებს შეიძლება დაეკისროთ დამატებითი გადასახადის სახით.

გ. საურავი

171. ბატონი კარბონო მოითხოვს, რომ დაწესდეს 8 %-იანი საურავი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებას გამოტანის დღიდან.

172. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი ემყარებოდა ვეროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესო განაკვეთს, რომელსაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო ერთხმად,

1. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას 106-ე და 108-ე პუნქტებში ჩამოთვლილი მომჩივნების მიმართ;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან მიმართებაში მე-100, 101-ე, და 104-ე პუნქტებში ჩამოთვლილი, ასევე 103-ე პუნქტში მითითებული ექვსი მომჩივნის მიმართ მათ შვილებზე განხორციელებული უკანონო მოპყრობის საფუძველზე;

3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან მიმართებაში 96 მომჩივნის მიმართ (იხ. ზემოთ, პუნქტები 129 და 135);

4. ადგენს, რომ არც ერთი გამოყოფილი საკითხი არ ექცევა კონვენციის მე-13 მუხლის მოქმედების სფეროში;

5. ადგენს, რომ საჭირო არ არის კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე დაყენებული საჩივრის განხილვა;

6. ადგენს,

ა) რომ მორალური ზიანისათვის, რომელიც მათ განიცადეს კონვენციის მე-3 მუხლის, როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან მიმართებაში დარღვევის გამო, მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში თარიღიდან, როცა ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უნდა გადაუხადოს მომჩივნებს ქვემოთ მითითებული თანხები, ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით:

i) ქალბატონ ფატმან თაბაგარს და ბატონებს მირიან არაბიძეს და ალექსი ხითარიშვილს 700 ევრო თითოეულს;

ii) ქალბატონებს: ნორა ლელაშვილს, ნინო ლელაშვილს, ზაირა ჯიქურაშვილს, ნათელა კობაიძეს, როზა ქინქლაძეს, ნინო ჯანაშვილს, ლია ბახუტაშვილს, ია ჭამაურს და ბატონებს ვლადიმერ ქოქოსაძეს, მერაბ უიუილაშვილს, ილია მანწკავას, ასევე ქალბატონებს იზოლდა ფურცელაძეს, ია ვარდანიშვილს, ლეილა მჭედლიშვილს, ლეილა ცარიტოვს, რაისა მაისურაძეს, ქეთინო ქიმერიძეს, ამალია ადდგომელაშვილს, ნათია მილაშვილს, იზა ხითარიშვილს, ბატონებს ჯუმბერ ბლარაშვილს და შოთა მაისურაძეს 350 ევრო თითოეულს;

iii) ბატონ ნოდარ ხოლოდს და თენგიზ ჯიქურაშვილს, ქალბატონებს: ბელა კახიშვილს, ლია მანწკავას, ხათუნა კერძევაძეს, ელენე მამუკაძეს, ნანა ფილიშვილს, მაყვალა მამუკაძეს, ეთერ ჭრელაშვილს, ლამარა მჭედლიშვილს,

ნანა კაპანაძეს, ფიქრია ცარიელაშვილს, ნანი კობაიძეს და ლილი ქობესოვას 120 ევრო თითოეულს;

iv) ქალბატონ ლია ბახუტაშვილს და რაისა მაისურაძეს შესაბამისად 300 და 200 ევრო მათი ვაუჩების მიმართ განხორციელებული უკანონო მოპყრობის გამო;

v) ქალბატონ ლეილა ჯიქურაშვილს, ლია სიღამონიძეს, სესილ გაგნიძეს და ია ვარდანაშვილს 160 ევრო თითოეულს მათი ბავშვების მიმართ განხორციელებული უკანონო მოპყრობის გამო;

vi) ამ ოდენობებს დაემატება გადასახადები, რომელთა გადახდაც მომჩივნებს შეიძლება დაეკისროთ;

ბ) კონვენციის მე-9 მუხლის, როგორც ცალკე, ისე მე-14 მუხლთან მიმართებაში, დარღვევის გამო მიყენებული მორალური ზიანისათვის მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია სამი თვის ვადაში თარიღიდან, როცა ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაუხადოს 150 ევრო თითოეულ მომჩივანს, რომელიც ამ გადაწყვეტილებას დანართში აღნიშნულია ნომრებით 1-დან 92-მდე, ასევე ოთხ მომჩივანს ბატონებს ვლადიმერ ქოქოსაძეს და ალექსი ხითარიშვილს და ქალბატონებს ნინო ლელაშვილსა და ლეილა ჯიქურაშვილს. ამას დაემატება გადასახადები, რომელთა გადახდაც მომჩივნებს შეიძლება დაეკისროთ;

გ) რომ ხარჯებისა და დანახარჯებისათვის მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია სამი თვის ვადაში თარიღიდან, როცა ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაუხადოს მომჩივნებს 10 000 ევრო ბატონი კარბონოსათვის, 3 750 ევრო ბატონი ჭაბაშვილისთვის, 773 ევრო ბატონი ბერნსისთვის და 580 ევრო ბატონი ალივიზატოსთვის კონვერტირებული ქართულ ლარებში ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსით. ამ თანხებს დაემატება გადასახადები, რომელთა გადახდაც მომჩივნებს შეიძლება დაეკისროთ;

დ) რომ ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ გადახდის დღემდე აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პროცენტი, რომელიც უტოლდება იმ პერიოდისთვის არსებულ ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

7. უარყოფს დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით .

შესრულებულია ფრანგულ ენაზე, გამოქვეყნებულია წერილობითი სახით 2007 წ. 3 მაისს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ჟ.-პ. კოსტა
თავმჯდომარე

ს. დოლე
რეგისტრატორი

დანართი გადაწყვეტილებაზე
მომჩივანთა, კონგრეგაციის წევრთა სია
(ამონაწერი 2001 წ. 10 ივნისის გენერალური ასამბლეის ოქმიდან)

1. ქალბატონი ელენე მამუკაძე
2. ბატონი ამირან არაბიძე
3. ქალბატონი ფატმან თაბაგარი
4. ქალბატონი როზა ქინქლაძე
5. ქალბატონი ქეთინო ქიმერიძე
6. ქალბატონი დარეჯან კოტრანოვა
7. ქალბატონი იზოლდა ფურცელაძე
8. ქალბატონი ნუნუ ღვინიაშვილი
9. ქალბატონი მაყვალა მამუკაძე
10. ქალბატონი ეკა კერძევაძე
11. ქალბატონი თინა მახარაშვილი
12. ქალბატონი ელენე ჯოჯუა
13. ქალბატონი ნანა კაპანაძე
14. ბატონი ნოდარ ხოლოდი
15. ქალბატონი რაისა მაისურაძე
16. ბატონი ჯამბულ არაბიძე
17. ბატონი რომიკო ზურაბაშვილი
18. ქალბატონი ამალია არდგომელაშვილი
19. ქალბატონი შახინა შარაპოვა
20. ქალბატონი ნორა ლელაშვილი
21. ქალბატონი ლილი ქობესოვა
22. ქალბატონი ნელი გიორგაძე
23. ბატონი ჯუმბერ ბლარაშვილი
24. ბატონი ილია მანჭკავა
25. ქალბატონი ქეთევან ჯანაშვილი
26. ქალბატონი დოდო კახიშვილი
27. ქალბატონი იზა ხითარიშვილი
28. ქალბატონი ხათუნა კერძევაძე
29. ქალბატონი ლეილა ცარიტოვი
30. ბატონი შოთა მაისურაძე
31. ქალბატონი ნანი კობაძე
32. ქალბატონი ნინო გნოლიძე
33. ქალბატონი ნანა ფილიშვილი
34. ქალბატონი ლამარა არსენიშვილი
35. ბატონი მერაბ ჟიჟილაშვილი
36. ბატონი თენგიზ ჯიქურაშვილი
37. ქალბატონი სესილ გაგნიძე
38. ქალბატონი ფიქრია ცარიელაშვილი
39. ქალბატონი ლია ბახუტაშვილი
40. ქალბატონი ლია სიდამონიძე
41. ქალბატონი ზაირა ჯიქურაშვილი

42. ქალბატონი ია ვარდანაშვილი
43. ქალბატონი ია ჭამაური
44. ქალბატონი ღია მანჭკავა
45. ქალბატონი ნინო ჯანაშვილი
46. ქალბატონი ბელა კახიშვილი
47. ბატონი ზაქრო ქოჩიშვილი
48. ქალბატონი ეთერ ჭრელაშვილი
49. ქალბატონი ნათელა კობაიძე
50. ბატონიმირიან არაბიძე
51. ქალბატონი ნათია მილაშვილი
52. ქალბატონი ლამარა მჭედლიშვილი
53. ქალბატონი ლალი ხითარიშვილი
54. ბატონი დათო გვარამია
55. ქალბატონი ლეილა მჭედლიშვილი
56. ქალბატონი ნანა მირუაშვილი
57. ქალბატონი ლარეცა გოგოხია
58. ქალბატონი იზო მარგველაშვილი
59. ქალბატონი ნელი ტაბატაძე
60. ბატონი ლევან ჯოჯუა
61. ბატონი ლევან მამიაშვილი
62. ქალბატონი ირმა გელაშვილი
63. ქალბატონი ნატო ფირცხელიანი
64. ქალბატონი მირანდა არაბიძე
65. ქალბატონი მაყვალა თიგუიშვილი
66. ქალბატონი ქეთო გუიგუაშვილი
67. ქალბატონი ელიზა ვალიევა
68. ქალბატონი მართა ბალიაშვილი
69. ბატონი გუგა ვაწაძე
70. ქალბატონი ღია მეტრეველი
71. ქალბატონი დალი გაზაევი
72. ქალბატონი ნინო ბუიშვილი
73. ქალბატონი დარიკო წიკლაური
74. ქალბატონი სოფიო მამაცაშვილი
75. ქალბატონი ზაირა ზაზარაშვილი
76. ქალბატონი ასია ასატურიანი
77. ქალბატონი მარია ვარამანიანი
78. ქალბატონი ხათუნა გიორგაძე
79. ქალბატონი ნინო ლეკაიძე
80. ქალბატონი მარინა ვეშაპიძე
81. ქალბატონი თინა რაჯავი
82. ქალბატონი თამილა გაფრინდაშვილი
83. ქალბატონი ბელა ზურაბაშვილი
84. ქალბატონი ნათია დევიძე
85. ბატონი გიორგი მოსულდიშვილი
86. ქალბატონი ცისანა არაბიძე

87. ქალბატონი მერი ქობელაშვილი
88. ქალბატონი დიანა მუდრიანი
89. ქალბატონი ქეთინო ღვინიაშვილი
90. ქალბატონი ირინა კარამანიანი
91. ქალბატონი დოდო ლუკაიძე
92. ქალბატონი ციური ელიაშვილი
93. ქალბატონი ლალი ჯიქურაშვილი (იგივეა, ვინც ლეილა ჯიქურაშვილი?)
94. ბატონი ალექო ხითარიშვილი (იგივეა, ვინც ალექსი ხითარიშვილი?)
95. ქალბატონი ქეთინო ქიმერიძე (იგივეა, ვინც აღნიშნულია № 5-ით?)
96. ბატონი შოთა მაისურაძე (იგივეა, ვინც აღნიშნულია № 30-ით?)
97. ქალბატონი ლიდა გაგოშ... (დაბოლოება არ იკითხება)